მიუხედავად იმისა, რომ ტორიჩელის ზოგიერთი პიოთეტური მოსაზრება პიოთეტებადვე დარჩა, ძველი გადაჭარბებით შევაფასათ ამ ცდის მნიშვნელობა. ადამიანს თითქოს პირველად გასცდა უშუალო გარემოება აღქმის ტლანქ მონახვემებს; მან პირველად აღმოაჩინა, რომ ყოვლისგანანონი ნიეთიერება, რომელიც ვარს არტყა ჩვენს პლანეტას, რომლითაც ვსუნთვით და ვსულადგმობით და რომლებიც, ყოველდღე ამის მიუხე-დავად, ისევე ვერ ვგრნობთ და ვერ განვიცდით, როგორც თევზი — წყალს, თურმე ჩვენი გრნობებისათვის სრულიად მიუხედავებელი და მოუხედავებელი ეთერული სუბსტან-ცია კი არ არის, არამედ მას თავისი კონკრეტული ფიზიკური თვისებები, ყოველ შემთხვევაში, წონა მიიძე-ვს. „ჩვენ ვცხოვრობთ ჰაერის ოკეანის ფსკერზე, და ვქვემოუტანელი ცდებით ვამტკიცებთ, რომ ჰაერი მძიმეა“, — ნერდა ტორიჩელი.

თავისი მეგობრის პიერ პეტის მემუვობით პასკალი ვერ კიდევ 1646 წლის ოქტომბერში ვაეცნო ტორიჩელის ცდის შედეგებს. იტალიელი კოლეჯის ექსპერიმენტმა აღაფრთოვანა და სიცარიელის პრობლემის არსზე დააფიქრა იგი, ინტერესი ისეთი მძაფრი იყო, რომ მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, პასკალმა დაუყოვნებლად



გამიგონა ტორიელის ცდა, თანაც სხვადასხვა სითხე — წყლით, ზეთით, ნითხით ღვინით... ზუსტად ერთი წლის შემდეგ — 1647 წლის ოქტომბერში — პარიზელი გამომცემლის პიერ მარკის ტიპოგრაფიამ დაისტამბა პასკალის ტრაქტატი „ახალი ცდები სიცივლის შესახებ“ („Nouvelles experiences touchant le vide“), რამაც უშუალოდ დააჩინუნა იგი ტორიელის დასკვნის უეჭველობასა და უმცდარობაში: „...აღმოჩნდა იგივე, — ნერდა პასკალი, — რაც მიკვლეულ იქნა იტალიაში... აქედან მოყოლებული, მე ბევრს ვფიქრობდი არ საკითხზე და საბოლოოდ განმამტკიცდა რწმენა, რომ სივარიელე არ არის რაღაც შეუძლებელი, და რომ ზუნება სულაც არ გაუარბის მას ისეთი მიზით, როგორც ეს ბევრს ეჩვენება“.

ახალი ფიზიკა სქოლასტიციზმთან ისეთივე უღმობილო და დაუდომბელი ბრძოლთ იკავებდა გზას, ისეთივე თავგანწირული ძალისხმევით იმკვიდრებდა არსებობის უფლებას, როგორც ახალი ასტრონომია. პასკალის ტრაქტატს ჯერ კიდევ სტამბის საღებავი არ შემრიბობდა, რომ მის წინააღმდეგ გაილაშქრა იეზუიტური „კოლეჯ-დე-კურეირისი“ (დღეს „ლუი დიდის ლივეჟში“) რექტორმა ეტიენ ნოელმა, რომელიც გადაჭრით უარყოფდა, საერთოდ ყოველგვარი სივარიელის არსებობას და, ცხადია, არც ე. წ. „ტორიელის სივარიელისათვის“ უშეშებდა გამოწკლის: „მართლაც, იმის ვარაუდი, რომ ესა თუ ის სივრცე ვარილია, როცა სივარიელე ყოველგვარი სხეულის არარსებობას ესახებთ, არა მარტო ეწინააღმდეგება საღ აზრს, არამედ, ამასთანავე, წინააღმდეგობის შემცველიცაა. ამ ვარაუდის მიხედვით, ეს ცარიელი სივრცეა და, იმადროულად, არც არის სივრცე, რაკილა გულისხმობს, რომ ის — სივრცეა, მაგრამ თუ ის სივრცეა, შეუძლებელია ყოველგვარი სხეულისაან დატლილი სივარიელე იყოს, ვინაიდან ყოველი სივრცე მხოლოდ და მხოლოდ სხეულად გვევლინება... და რაკი ის სივრცეა, ჩვენ ვასკენით, რომ ის, იმადროულად, სხეული არის — დიდი, მცირე, მრგვალი, კვადრატული; და ყველა ეს განსხვავება, რასაც სივარიელისთან საერთო არა აქვს რა, უარყოფს არარას და აღიარებს რაღაცას, რის გამოც არისტოტელე ამბობს: იმას, რაც არ არის, განსხვავება არ გააჩნია“.

სქოლასტიკოსები ისევე ჰგვანან ერთმანეთს, როგორც მათი მოპირისპირენი: კვლავ დახასჯებულ აზრებში ქექვბ, კვლავ მკვდარ ტექსტებში კირკლბი, ყოველივე ახლის ხელაღებით უარყოფა, განუსჯელად უკვადება ყოველივე თანადროლის. ბევირი, ჩემს შრომებს რომ წაიკითხავს, იმას კი არ ეცდებდა, როგორ გაერკვეს ჩემს აზრებში, არამედ იმას, რომ ხრიკებით თუ მანქანებით, სიმართლით თუ სიმრუდით უარყოფ ყველა ჩემი საბუთი“, — გულისტყვილით აღნიშნავდა გალილე. და მახინჯ, ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, „პერიპატეტეტიკოსთა ბელადის“ („princes peripateticorum“) ავტორიტეტი უკვე უშლური იყო ჭეშმარიტების წედიოში ფრთაშესხმული აზრის წინაშე. „ყველაფერში, რაც მეცნიერებს ეხება, ჩვენ ეკნობით მხოლოდ გონებას და გრძობებს“, — ნერდა პასკალი თავის საპასუხო წერილში 1647 წლის 29 ოქტომბერს...

* არისტოტელეს ტიტული.

პოლემიკა გაჭიანურდა. რაც უფრო მშვიდი, აუმჯერდეული და თავდაჯერებულთა საკუთარ სიმართლბში დარწმუნებულთა პასკალი, მით უფრო ნერვიული და ისტერიული ხუნება მომომრებიდან გამოსული და აღმთიფებული ნოელის ტონი, ყოველად ღირსი მამა აქედნებს სპეციალურ ნაშრომს „სივარიელის სისავსე“ („Le plein du vide“), რომელსაც პრინც დე კონტის უძღვინს. იეზუიტური დემაგოგის მთელი არსენალი — სივრცე, მახეობობა, ცილისანება, მონინაღმდეგის მოყენება და, ბოლოს, მუქარანარევი ლანძღვა-გინება მრისხანებდ მგრვენიავ ანათემად თავს ატყდება და მინასთან გასწორებით ემუქრება „პუნების თავებდ ზრალმბებულს“. მაგრამ პასკალი ყველაზე მეტად გაოგნებულთა იეზუიტის უპრინციპობით: „ნეტავი გამაგებინა, ვინ მისცა მამა ნოელს იმისი ძალა, რომ თავის ნებაზე თამაშობს ზუნება? ძალა, რომლის წყალობითაც სტიქიონები ისევე იცვლიან თვისებებს, როგორც თეთონ იცვლის თვალსაზრისს; ასე რომ, სამყარო მისი ზრახვების გამუდმებულ ცვალებადობას ექვემდებარება და ესადაგება. არ შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ თითქმის შეუძლებელია უარყო ამ ღირსი მამის აზრები, ვინაიდან ის უფრო სწრაფად იცვლის მათ, ვიდრე პასუხის ეცვებას მოსწრებდეს კაცი“.

ერთხელ კიდევ გაემიჯრება, რომ „სქოლასტიკოსები ისევე ჰგვანან ერთმანეთს, როგორც მათი მოპირისპირენი“. მკიხობელი თავად დარწმუნდება ამ აზრის სიმართლბში, თუკი ერთმანეთს შუღვარებს მამა ნოელის პასკალისეულ დახასიათებას და იტალიელი სქოლასტიკოსების მისამართით წარმოქმნულ სიტყვებს, რომელთა ავტორთა გალილეო გალილეო: „როგორც კინდა მოდრაკო ბრიყვი, თუკი იმ მომენტში, როცა მის ერთ სიბორიყვის აბათილებდ, დაყოფებდლე მეორე — უფრო დიდი სიბორიყვის მტიკებბას იწყებს და ასე შემდეგ, დაუსრულბლე“.

თუმცა პასკალმა ისიც მშენიერად იცის, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს იეზუიტის ამნარ გამძმინვარებას. სქოლასტიკოსი სწავლულბში მარტოოდენ თეორიული მსჯელობის მანერით რუდი ჰგვანან ერთიმეორეს. არა, საოცრად მსგავსია მათი სიმუბთლბე, ვერავთბაც, საზარელი შურისსიბებაც. პასკალი ასბოს მიგულ სერვეტის, ჯორდანო ბრუნოს, ლუჩილიო ეანინის, გალილეო გალილის, ტომაზო კამპანელას და მეცნიერების სხვა დიდ მარტელთა ტრაგული ხუნდერი. ამ მხრივ, არც მისი თანამემამულენი წარმოადგენენ გამოწკლისს. კათოლიკური რეაქცია ერთნაირად დაუნდობელია იტალიაშიც და საფრანგეთშიც. სწორედ კლერიკალთა რისხვას გაუბრის რენე დეკარტი საფრანგეთიდა — პოლანდიაში, პოლანდიიდან — შვედეთში... ლუი XIII-ის დრის პარლამენტის (უმაღლესი სასამართლო) მიერ გამოიტანლილი საგანგებო დადაგნილბა კატროლით ემუქრება ყველას, ვინც გაბედავს არისტოტელეს მოძღვრების ხელყოფას, მის წინააღმდეგ გალაშქრებას. აღბათ ამიბომ ფრანგი მედიკოსი სტეპანტენ ბისონი 1621 წელს პარიზში კი არა, ენგევამი აქედნებს „ანატურალური ფილოსოფიის თორმეტ წიგნს არისტოტელეს წინააღმდეგ“ („Philosophiae naturalis adversus Aristotelem libri XII“). საბი წლის შემდეგ მისი თანამოაზრენი — მედიკოსი და ქმიკოსი ეტიენ დე კლავი, ჟან ბიტო და



ანტუან ვიონი პარიზში აკრავს არისტოტელეს ნინაღმდეგ მიმართულ თეზისებს, რომლებითაც საჯარო მიმართობაში ინვევენ ბერძენი ფილოსოფოსის ყველა მიმდევარი. დისპუტი არ შედგა. დე კლავი დაამატირებს, ვიონი მიიშალა. პარლამენტის განაჩენით, თეზისები დაწესეს, ხოლო დისპუტის სამივე ორგანიზატორს ეგრძანა 24 საათის განმავლობაში დატოვებინათ პარიზი, სამუდამოდ აკრძალათ იქ დაბრუნება და ლექციების კითხვა...

აქ შევწყვეტ ჩემი ძველი შრომის ციტირებას. მამა ნოელთან პაექრობა მხოლოდ ერთგვარი პოეზიულია იყო იეზუიტების ნინაღმდეგ მომავალი გააფთრებული ბრძოლისთვის, მაგრამ ამჟერად უკვე არა მეცნიერული აზრის, მეცნიერული მსოფლმხედველობის, არამედ ქვემაროტი რწმენის დასაცავად, რის შედეგადაც შეიქმნა მისი სახელგანთქმული ნიჭი „ნერიღები პრივიციელისადმი“. რაც შეეხება ფიზიკურ მეცნიერებას, პასკალი მიხვდა, რომ პერიპატეტიკოსების ნინაღმდეგ საბრძოლველად, უნიხარეს ყოვლისა, აუცილებელია ახალი, ორიგინალური ცდების სერიით სათანადო ფაქტების დაგროვება და მათი ინტერპრეტაციის მემოტიური პერიპატეტიკოსთა მსაქიერი მეცნიერული მეთოდის გაბაიოლება.

ცდების შედეგთა ანალიზისა და სიცარიელის ბუნების თეორიული კვლევის პროცესში პასკალი, ბოლოს და ბოლოს, აღმოაჩენს ქვემაროტების ნეფომის უტყუარ გზას. მის სულში ანახდელად იკვეთება თავისი სისხარტით და სისადავით ვასაყარი აზრი: თუკი მიღმი ვერცხლისწყლის სვეტის დონეს „სიცარიელის მიში“ კი არ გასახლდებოდა, არამედ სიონის ან ზედაპირზე პაერის სვეტის სიმიში, მაშინ ამ უკანასკნელის სიმაღლის შემცირება უშუალოდ გამოიწვევს იმას, რომ ვერცხლისწყალი მიღმი დაბლა დაიწვეს. ამისთვის კი სკამარისა მადალი მითის ძირას ჩაეინიშნათ ვერცხლისწყლის დონე და შემდეგ მწვერვალზე აიჭიანოთ ხელსაწყო. ამ ვარაუდის მიხედვით პოუ-დე-ფიონის მთის ძირას და მის თხემზე განხორციელებული ცდების სერიამ მოილანად დადასტურა პასკალის პიოთეზის სისწორე.

პოუ-დე-ფიონის ექსპერიმენტმა „დაამტიკა, — წერდა პასკალი, — რომ წყალი ტუმბოში სხვადასხვა დონეს აღწესს სიმაღლის, ადგილმდებარეობის თუ აინიდის მიხედვით; რომ ის ყოველთვის პაერის სიმიშიის პროპორციულია და, ამრიგად, დაასრულა ამ მოკლენის შენობა. მან გვიჩვენა წყლის დონის ცვალებადობის ქვემაროტი მიხეზე და ბოლო მოუღო ყოველგვარ ეჭვს; მან ცხადყო, რომ არ არსებობს სიცარიელის მიში და სრული სინათლე მოჰფინა ამ საკითხს. დაე, დაამტიკოთ ახლა, თუ შეუძლიათ — პაერის სიმიშიის გარეშე, — რატომაა, რომ შემწერი ტუმბოები წყალს ერთი მეოთხედით დაბლა ქაჩვენ პოუ-დე-ფიონზე, ვიდრე დეიპში, ან რატომაა, რომ ერთი და იგივე სიფონი წყალს მაღლა სწევს დეიპში, მაგრამ ვერ „ახერხებს“ ამას პარიზში?.. განა ბუნებას მთის მწვერვალზე უფრო მეტად ეფინათ სიცარიელის, ვიდრე ხეობაში, ან უფრო მეტად უფრთხის მას ავდარში, ვიდრე ავდარში? ან, იქნებ, ეს შიში სხვადასხვაინარია სამარეკლოზე, სხეენში, ეზოში?

დაე, არისტოტელეს მიმდევრებმა შეკრიბონ ყველაფერი, რაც მათ მოკლვარს ან მის კომენტატორებს

დაუნერიათ და, თუ შეუძლიათ, ახსნან ყოველივე ის სიცარიელის მიში. ნინაღმდეგ შემთხვევაში, დე, აღიარონ, რომ ექსპერიმენტის ის მომდევარი, რომელსაც უნდა მისცდით ფიზიკაში; რომ პოუ-დე-ფიონის ექსპერიმენტმა საფუძველი გათავადა სიცარიელის მიშის საყოველთაო რწმენას და ერთხელ და სამუდამოდ დაადგინა ნარეული ქვემაროტიც. რომ ბუნებას სულაც არ ეძინია სიცარიელის და არ გაურბის მას; და რომ, ბოლოს, პაერის მასის სიმიშია ყველა იმ მოკლენის ქვემაროტი მიხეზე, რასაც აქამდე ამ მოკლენების მიხეზს მიაწერდნენ...

ჩვენ თვალი გვაადვენეთ რელიგიისა და მეცნიერების არცთუ მშვიდობიანი თანაარსებობის მრავალსაკუნუნვან, ნარეულიან გზას. ენახეთ, რომ არც ანტიკური პოლითეიზმი და არც რომელიმე ქრისტიანული ეკლესია — კათოლიკური, ლუთერანული, კალვინისტური თუ ანგლიკანური — არ გამოირჩეოდა ნოვატორი სნაგულთა მიმართ გარკვეული ტოლერანტისმიით თუ შეშენარებლობით. ამ მხრივ, თითქმის ერთგვარ განმარაგებას უნდა მივაჩნდეს აღმოსავლეთ ევროპული მართლმადიდებლობა. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ XVIII საუკუნის დამდეგს მართლმადიდებლურ ქვეყნების მეცნიერება ვერ კიდევ ჩანასახვან ფახნობ. ბიზანტიის იმპერიის დამბობამდე (1453 წ.), როცა სამუდამოდ შეწყვიტა არსებობა კონსტანტინოპოლის სახელგანთქმული უნივერსიტეტმა, კვლავლეთ ევროპაში უმარტესი განათლების მძლავრ ცენტრები: ინგლისში — ბოლონიის (1158), ინგლისში — ემბრიჯისა (1209) და ოქსფორდის (XII ს. II ნახევარი), საფრანგეთში — პარიზის (1215), ესპანეთში — სალამანკის (1218—1226), პორტუგალიაში — ლისაბონის (1290), ჩეხეთში — პრაღის (1348), პოლონეთში — კრაკოვის (1364), ავსტრიაში — ვენის (1365), გერმანიაში — ჰაიდელბერგის (1386) უნივერსიტეტები აღმოცენდა. უფრო გვიან დაარდა მეცნიერებათა აკადემიები: საფრანგეთის (1635), ინგლისის („სამეფო საზოგადოება“, ლონდონი, 1660), რუსეთის (ბერლინი, 1700), რუსეთის (პეტერბურგი, 1724), ერთი მთლიან შემდეგ კი მ. ლომონოსოვის თოსნობით საფუძველი ჩაეყარა „აკადემიის უნივერსიტეტს“ — უმაღლესი განათლების პირველ რუსულ ცენტრს, რომელსაც ბოლონიის უნივერსიტეტის დაარსებისგან თითქმის 700 წელი აშორებს.

ახლად შექმნილ აკადემიას და უნივერსიტეტს ნაადვილ დევის წყალბადე მოევიანა „რუსეთის განმანათლებელი“ მიხეილ ლომონოსოვი (1711—1765), ფიზიკოსი, ქიმიკოსი, ასტრონომი, პოეტი, ისტორიკოსი, რუსული სალიტერატურო ენის შემქმნელი. მისკოვის უნივერსიტეტის ლეთისმეტყველების პროფესორი ნ. ბოგოლიუბსკი ლომონოსოვის დაბადების 200 წლისთავთან დაკავშირებით წერდა, რომ თვით მისი მოვლინება ამ ქვეყნად ესაა თითქოს „განგების განსაკუთრებული და უიშვითესი წყალბადე. იმისათვის, რომ ლომონოსოვს მხოლოდ ბუნებრივ და ისტორიულ ფაქტორთა ნაყოფად ვთვლიდეთ, საკმარისი საფუძველი არ გვაქვია: ეს ისევე უწევს და მოკლედნელი, როგორც არსებობდა მნიშვნელოვანი ხალხის ცნობიერების განვითარებისა და ზოგადსაკაცობრიო პროგრესისათვის. გენიას რომ შობს, ბუნება, როგორც



ჩანს, ევოლუციამ აუხსნელ ნახტომს აკეთებს და თავისებურ სასწრაფს ქმნის... მოსკოვის უნივერსიტეტი ღრმა პატივს მივაცხადებ ლომონოსოვს, როგორც ჩვენი რუსული მეცნიერების მამას და თავის ერთ-ერთ უშუალო მემკვიდრეს. რუსეთი იცნობს მას, როგორც თავის დიდ მოსწავლეს, მთელი თავისი გენია და ძალა რომ შეხინარა სამშობლოს წინსვლისა და ზოგადასაკაცობრიო კულტურასთან მისი ზიარების კეთილშობილურ საქმეს".

პანგიეროული ტონის მიუხედავად, ლომონოსოვი შთამომავლობისაგან (შთამომავლობისაგან მიიწივ) ღრსი იყო არ სიტყვებისა. მან, არსებითად, საფუძველი ჩაუყარა რუსულ მეცნიერებს. მაგრამ გაცილებით უფრო მოკრძალებული, მეტიც, უმნიშვნელოა მის მიერ მსოფლიო მეცნიერების საგანძურში შეტანილი ნეღლი. თუმცა კლასიკის ყველა უფრო დიდი „არმინით“ ზომავს და, ამ შიშვე, რა თქმა უნდა, არც რუსები არიან გამორაკლისი. გამონაკლისი არ არის არც ლომონოსოვის ზედრი სიცოცხლეში: კლდეებისა და კლერკალების სიძულელი, შური, დევნა, ცილისმამბავ; დიდი ევროპული სწავლულების არ იყოს, მანაც შესვა შხამ-სამშალი სასეც ფილა.

პეტრე I-ის (1672—1725; მეფე — 1682-დან) მსგავსად, ვისი პოლიტიკური მოღვაწეობის უმაღლესი მიზანი იყო რუსეთის სახელმწიფოს ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნა, ლომონოსოვს, უწინარეს ყოვლისა, რუსული მეცნიერების ევროპიზაცია მიაჩნდა თავის უზუნავს ვადა. აგროპული კულტურის დანერგვა — ნერდა 1911 წელს რუსი სწავლული ა. პოპოვი, — ლომონოსოვისათვის რელიგიურ მისიად იქცა, ისევე, როგორც მისი იდეური მონიზაღმდეგების, ყველა ჯარის „სტაროვერების“ რელიგიური საქმე იყო მეცნიერების ნინაღმდეგ ბრძოლა. თუ ძველი ყაიდის რუსი ადამიანის თვალში რელიგია იყო უპირველესი ფასეულობა, ლომონოსოვმა რელიგიური ფასეულობის რანგში აიყვანა მეცნიერება, რაც ესოდენ უხერ იყო მისი წინარებისათვის“.

თავისი დიდი ევროპული წინამორბედების — ჯორდანო ბრუნოს, გალილეო გალილეის, იოჰან კეპლერის, რენე დეკარტისა და ისააკ ნიუტონის კვლადაკვალად, თარგამედებით რომ იცავდნენ და შემოქმედებითად ავითარებდნენ კოპერნიკის პელიცენტრულ სისტემას, ლომონოსოვიც ცდილობდა თანამემსულეთა შეგნებამი დაემკვდრებინა სამყაროს ახალი ასტრონომიული კონცეფცია. 1740 წელს სწორედ მისი მხარდაჭერით გამოქვეყნდა ფრანგი მწერლის და მეცნიერის ბერნარ ლე ბოვიე და ფრანტენელის (1657—1757) თხზულების — „სახურები სამყაროთა სიზრავლის შესახებ“ ანტიბის კანტეზირისული (1708—1744) თარგმანი. უმნიშვნესა სინოდმა“ სასტიკი პრეტესტი განაცხადა ამ წიგნის გამოსვლასთან დაკავშირულად და კატეგორიულად მოსთხოვა იმპერატორა ელზავეტა პეტრის ასულს სასწრაფოდ აეკრძალა იგი: *„Давы никто отнюдь ничего писать и печатать как о множестве миров, так и о всем другом, вере святой противном и с честными нравами не согласном, под тягчайшим за преступление наказанием не отожавися“*.

ამ მკაცრი მოთხოვნის მიუხედავად, მრისხანე გაფრთხილებად რომ აღიქმებოდა თანამედროვეთა მიერ,

ლომონოსოვმა — იმხანად აკადემიის კანცელარიის ერთ-ერთმა მრჩეველმა — გახედა პირადი პასუხისმგებლობით ხელმოკრედ გამოუვა ეს „არამოლური“ წიგნი აკადემიის ტიპოგრაფიში. მეტიც, ის თვითონვე უნევეა პროპაგანდას კოპერნიკის ღიად აღმოჩენას: „Коперник возобновил, наконец, солнечную систему, каковая имя его ныне носит; показал преславное употребление ее в астрономии, которое после Кеплер, Невтон и другие великие математики и астрономы довели до такой точности, какую ныне видим в предсказании небесных явлений, чего по земнотоятельности системы отнюдь достигнуть невозможно“.

და პირიქით, სარკასტულად დასცინოდა გეოცენტრისტებს, რომლებიც „принужденны были выдумывать для изъяснения небесных явлений плутовые и с механикою и геометрию прекославящие пути планетам, шиплы и зыщиплы (круги и побочные круги)“, და მათი ამსურდელი სისტემის განსაკუთრებლად დასტენდა: „სამუხაროა, რომ მაშინ არ იყვნენ ისეთი მახვილგონიერი მხარეულები, როგორც შემდეგა:“

**Случилось вместе два астронома в пиру,
И спорили весьма между собой а жару.
Один твердил: Земля, вертясь, вокруг Солнца ходит;
Другой — что Солнце все с собой планеты водит;
Один Коперник был, другой слыл Птоломей.
Тут повар спор решил усмешкою своей.
Хозяин спрашивал: — Ты звезд течение знаешь?
Скажи, как ты о сем сомненье рассуждаешь?
Он дал такой ответ: — Чтено в том Коперник прав,
Я правду докажу, на Солнце не бываю.
Кто видел протаста из поваров такого,
Который бы вертел очар кругом жаркого?..**

მშვენიერი იუმორია, დიდ ფრანგ მწერალს სირნამ დე ბერვერას (1619—1655) გაცილებით უფრო ადრე რომ არ ეთქვა: „სასაცილოა იმაზე ფიქრი, თითქოს ისეთი უხერმავარი მნათობი, როგორიც მზეა, პანანია ნერტილის ირგვლე ბრუნავდეს, რომელიც მას, საერთოდ, არს არგია; ეს ხომ იცავია, რომ შამფურზე ნამოკრებულ ტორლავს ეგონოს, მე კი არ ვბრუნავ. არამედ მთელი ლუმელი ან სამხარეული ტრიანებს ჩემს ირგვლეო“...

თუმცა ლომონოსოვი მარტოოდენ პელიცენტრულ სისტემას კი არ იცავდა, იმავდროულად, თავგამოდებით იბრძოდა სიზნელით მოცულ რუსეთის პირქუმ სინამდვილეში დღესავით ნათლ მეცნიერულ ქემპროტებათა დასაკვიდრებლად. მისთვის სრულად მიუღებელი იყო სამყაროს ასაკის ბიბლოური ინტერპრეტაცია, სულ რაღაც ექვსიოდე ათას წელს რომ მოიცავდა. ლომონოსოვის მტკიცებით, კლიმატის რადიკალურ შეცვლას მზის მიზართ დედამინის ლერძის დახრილობის ამქარა ცვლილების შედეგად, საბოლოოდ უნდა დაეყრდნეებინათ იმამი, რომ ჩვენი პლანეტის თანდათანობით ფორმირებას გავარგარებული მდგომარეობიდან მის დღევანდელ იერსახემდე წარმოუგენლად ხანგრძლივი დრო — მრავალი ასეულობით ათასი წელი მიიწივ დასტინდოვდა.

ლომონოსოვი ცდილობდა მეცნიერულად აეხსნა და დასაბუთებინა ბუნების ყველა მოვლენა. ის ანტიკიკება და



რომ, ბიბლიურ გადმოცემათა საპირისპიროდ, მარტოოდენ მეცნიერებას შეეძლო სათანადოდ განეტყობა თვით დედამიწის ყველაზე შორეული ნარსული. ასე მაგალითად, მთის თხემზე აღმოჩენილი ნივთები მხოლოდ იმას მონიშნობდა, რომ იქ ოდესღაც ზღვისა თუ ოკეანის ტალღები დათაროვებდნენ: „Есть против возвышения гор со dna морского и поднятия с собою раковин другое мнение, за которое стоят писатели не из черни ученого общества, приписывая оное действию единственно Ноеву потопу, однако и сие важными доводами легко уничтожается“...

„კუდიანი“ კომეტების გამოჩენა თავზარს სცემდა უზარმაზარი სახელმწიფოს ცრუმორწმუნე მოსახლეობას. კომეტებისა და „მრდლოეთის ციალის“ კვლევამ ლომონოსოვი დარწმუნა, რომ ამ ციური სხეულების კუდები ელექტრული ბუნებისაა და, ამ შირვი, ისინი „მრდლოეთის ციალს“ შევანან; ასე რომ, — ანუგეშებდა იგი თავის თანამემამულეებს, — სრულიად უსაფუძვლოა თქვენი შიში, თითქოს ისინი საზარელ კატასტროფათა წინასწარმაცნეებად გვევლინებოდნენ: „Хвосты комет не суть пары, из них восходящие, но такое движение эфира, от электрической силы происходящее, того ради неосновательны суть оные страхи, которые во время явления комет бывають, затем что многие верят, якобы великие потопы на земле от них происходят“.

მაგრამ ბაბლის „სულიერი ცხოვრების“ შესეუერი და წარმმართველი ლომონოსოვი და მისი მცირერიცხოვანი კოლეგები კი არა, გაუთლელი და გაუნათლებელი სამღვდლონი იყვნენ, თვით ლომონოსოვის დახასიათებით გარკვეულწოდ რომ გვაგონებენ პოპების კალმით დახატულ ხეზე, უფვი, აყია და მუცელმერთა პერსონაჟებს: „При всякой пирушке по городам и деревням попы — первые пляшущи. И не довольствуясь с тем, с обеда по кабакам ходят, а иногда и до крови дерутся... Попы сами чуть столько грамоте знают, столько там мужицкий батрак или коровница умеет“...

სწორედ მათ წინააღმდეგაა მიმართული ლომონოსოვის ლექსი „Гимн бороде“ რუსული სატირული პოეზიის ეს შედევრი, სადაც ავტორი დაუნდობლად აშხელს და აპირობებს წყროსან სამღვდლოთა სიხარებს, ანგარებას, უსამართლობას, ესოდენ უგვანს, უკადრის და მიუღებელს ქვემარტივი ღვთისმოსაობისთვის:

**О коль в свете ты блаженна,
Борода, глазам замена!
Люди обще говорят
И по правде то твердят:
Дураки, врали, проказы:
Были бы без ней безглазы;
Им в глаза лгевал бы всяк;
Ею цел и здрав их зрак...
Борода в казне доходы
Умножает по вся годы.
Кержинцам любезный брат
С радостью двойной оклад
В збор за оную приносит
И с поклоном низким просит
В вечный пропустить покой
Безголовым с бородой...**

ამ ლექსმა თუ „პასკვილმა“ (ლომონოსოვის დროს „პასკვილად“ — „пашквилъ“ — იწოდებოდა), როგორც ჩანს, ააგონ „უწმიდესი სინოდის“ მოთმინების ფაღა. დიდი ხნის დაგუბებულმა რისხვამ, ჯგებრი გადმოხეტება და მკრეხელს გმობის, ლანძვევა-გინებისა და ცილისწამების ნიაღვარი დაატყდა თავს. ამასთანავე, „სინოდმა“ უმორიღესი თხოვნით მიმართა იმპერატორსა ელიზავეტა პეტრეს ასულს:

„...Всерадуйшего Вашего Императорского Величества родителя, блаженные и вечныя славы достойная памяти, Государя Императора Петра Великого, правами, жестокия казни хулителям закона и веры чинить повелевающими, Военного Артикула главы 18, 149 пунктом, такихых пашквильей сочинителей наказывать, и пашквильные письма через палача под виселицею жець возложено: того ради со оных пашквилей восподанейше Вашему Императорскому Величеству подносит Синод копии и... просит, чтоб Ваше Императорское величество, яко Богом данная и истинная церкви и веры святой и духовному чину защитница, Высочайшим своим указом таковыя соблазнительныя и ругательныя пашквилы истребить и публично съечь и вперedy то чинить, запрятить, и означенного Ломоносова, для надлежащего в том увещания и исправления, в Синод отослать. Всемилостивейше указать соизволили.“

Вашего Императорского Величества всепокорные рабы и богомольцы:

*Смиренный Сильвестр архиепископ С.-Петербургский
Смиренный Дмитрий епископ Рязанский
Смиренный Амвросий епископ Переяславский
Сиренный Варлаам архимандрит Донской
Марта 6го дня 1757 г.*

მართლმადიდებლური სარწმუნოების გმობა და სასულიერო ნოდების პირთა შეურაცხეუა — ბრალდების ორივე ეს მუხლი მძიმე სასჯელს უქადდა. მკრეხელს და ღვთისმგმობს*. მხოლოდ ყოვლისშემძლე დიდაკაის — გრაფ პეტრე ივანეს ძე შუვალოვის (1710—1762) მფარველობამ აარიდა მას მრისხანე მტრების შურისძიება. და მაინც ლომონოსოვმა უსიხარულად გაიღო სიცოცხლის დარჩენილი დღენი, ტანჯულ-წამებული აღესრულა 1765 წელს, მაშინ ის მხოლოდ 54 წლისა იყო...

ჩვენ თვალს გაუადგენით რელოგიისა და მეცნიერების შინაგანი წინააღმდეგობებით აღსავსე ურთიერთობის 25 საუკუნოვან გზას და XIX საუკუნეს მივადგეით, სადაც თავს იჩენს კიდევ ერთი კონფლიქტი რელიგიასა და აშხერად უკვე ბოლოგორ მეცნიერებას შორის, რომლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლადაც ევოლუციური თეორიის ფუძემდებელი ჩარლზ რობერტ დარვინი (1809—1881) გვევლინება.

სიტყვა „ევოლუცია“ წარმოსდგება ლათინური ზნიდან „evolvere“ რაც „გაშლას“, „განეთარებას“ ნიშნავს. საშყაროს თანდათანობითი განვითარების კონცეფციას რელიგიურმა სახით ჩვენ ჯერ კიდევ ძველ ბერძენი ფილოსოფოსების — პერაკლიტე ეფესელის (დაახლ. 520 — დაახლ. 460), ემპედოკლეს (დაახლ. 490 — დაახლ. 430), დემოკრიტეს (დაახლ. 460 — დაახლ. 370) და



სხვათა ნააზრევში ვხვდებით. თუმცა უკვე გლენოსტურსა და, მით უმეტეს, შუა საუკუნეებში გამოქმნილ თუნდაც რწმუნებული ევოლუციური იდეებისათვის ადგილი აღარ რჩება. აქ ერთპიროვნულად მგრანბნობის კრეაციონიზმი — რელიგიურ დოგმებზე დაფუძნებული მსოფლმხედველობითი სისტემა, რომელიც ამტკიცებს შემოქმედის მიერ შექმნილი სამყაროს უცვლელობას. მაგრამ ყოველგვარი დაბრკოლებისა და დამამხრუჭებელ მიზეზთა მძლავრობის მიუხედავად, ადამიანის მახებელი აზრი კვლავინდებურად განაგრძობს კვლევადობას. აღორძინების ეპოქის მიღწევები მყარ საფუძვლეს უზამდებენ. „ტრანსფორმიზმის“ განვითარებას (სახელწოდება წარმოსდგება ლათინური სიტყვიდან transformare, რაც „გარდაქმნას“ ნიშნავს), ანუ ახალი წარმოდგენის ჩამოყალიბებას სამყაროს ევოლუციისა და ბიოლოგიურ ორგანიზმთა ისტორიული ცვალებადობის შესახებ. „ტრანსფორმისტთა“ შორის, უნიბარეს ყოვლისა, უნდა დავახაზოთ: რობერტ ჰუკი (1635—1703), ჟოზეფ ლეი ლეკონტი ბიუფონი (1707—1788), ეოლიენ ოფერ დე ლამეტრი (1709—1751), დენი დიდრო (1713—1784), იოჰან ვოლფგანგ გოეთე (1749—1832), ეტიენ ჟოფრუა სელტენილიერი (1772—1844) და სხვ. ყველა ტრანსფორმისტი აღიარებდა ორგანიზმთა ცვალებადობას გარე პირობების ცვლილებათა ზემოქმედების შედეგად. თუმცა მათ უმარავლესობას ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებინა თანმიმდევრული კონცეფცია ევოლუციის შესახებ.

ამ მხრივ, უთუოდ გამოწამლისად უნდა მიგვაჩნდეს იდეი ფრანგი ბიოლოგი ჟან ბატისტ ლამარკი (1744—1829) — ორგანული სამყაროს განვითარების პირველი ევოლუციური თეორიის შემქმნელი. ლამარკის ევოლუციური თეორია ჩამოყალიბებულია მის ფუნდამენტურ შრომაში „ზოოლოგიის ფილოსოფია“ (გამოცემდა 1809 წელს, სწორედ იმ წელს, როცა დაიბედა ჩარლზ დარვინი). ლამარკმა პირველმა დასაბავილია ცხოველის ორი ზოგადი მიმართულება: აღმავალი განვითარება სიცოცხლის უმარტოვესი ფორმებიდან ორგანიზმთა სულ უფრო და უფრო რთულსა და სრულყოფილ ფორმებამდე და, ამასთანავე, მათი შემგულებლობითი უნარის გრადუაცია გარემო პირობების ცვლილებათა კვალდაცვალ. (ე.წ. „ვერტიკალური“ და „ჰორიზონტალური“ განვითარება). აღმავალი, ანუ პროგრესული განვითარება ლამარკის თეორიის ყველაზე არსებითი და ორიგინალური ნაწილია. სწავლულის აზრით, ორგანიზმთა ისტორიული განვითარება შემთხვევითი კი არა, კანონზომიერი ბუნებისა და განუხრელი სტრუქტურული, ისევე, როგორც ორგანიზაციის საერთო დონის თანდათანობითი ამაღლების, ანუ „გრადაციის“ გზით წარმართება. „გრადაციის“ მიმორავებები ძალა ლამარკს პროგრესისაკენ ბუნების სწრაფვის“ არსებით ფაქტორად მიაჩნია, რაც დასაბამითვე ნიშნულია ნებისმიერი ორგანიზმისთვის და მათთვის შემოქმედის მიერაა მინიჭებული.

აღარ შეგერდებოთ ლამარკის ევოლუციური მოძღვრების სხვა ასპექტებზე, ვიტყვით მხოლოდ, რომ მის თეორიის ცვალებადობა იდეები დამხედ იმპრობენტ შეცნაობა ყურადღებას და ისინი საფუძვლად დაედნენ თანამედროვეობის ნეოლამარკისეულ კონცეფციათა ჩამოყალიბებას.

და მაინც, ევოლუციის ჭეშმარიტ დაფუძნებლად დარვინი ითვლება. ლამარკის კონცეპტებითი თეორიისაგან განსხვავებით, ინტელისეული სწავლულის თეორია, უნიბარეს ყოვლისა, ფაქტობრივ მონაცემებსა და მათ სკრუპულოზურ ლოგიკურ ანალიზზე დაფუძნებული, რასაც ბევრჯერად აზრობდა-დარწმობდა დასკვნები ავირცხვინებს. დარვინმა ხანგრძლივი ძიების შედეგად შეაგროვა, დანერღებით გამოიკვლია და განახალა როგორც გარეულ, ისე შინაურ ცხოველთა და მცენარეთა ცვალებადობის შრავალი ფაქტი, ეჭვმუგულად რომ მოწმობდა ახალ სახეობათა წარმოქმნას ბუნებრივი თუ ხელოვნური შერჩევის გზით. ასე მაგალითად, შინაური მტრედების 150 სხვადასხვა სახეობის ურთიერთმედარების შედეგად მან ცხადვად, რომ ყველა ისინი თავიანთი გარეული წინაპრების ერთი ან რამდენიმე ჯიშისაგან უნდა გამოეყვანა სელექციონერთა ხანგრძობისა და შესაბური მოთმინებით აღსაცხე შრომას.

ორგანიზმთა ცვალებადობა გარტვან პირობათა ცვლილებებითაა განსაზღვრული. დარვინი გამოყოფს ამ ცვალებადობათა ძირითად ფორმებს: ა) გარკვეულს, როცა ორგანიზმთა თითქმის მთელი შთამომავლობა საარსებო პირობათა ცვლას ექვემდებარება (ასე მაგალითად, სიდიდე თუ სიმცირეს საზრუნო სიუჟე თუ სიმრედი განაპირობებს) და ბ) გაურკვეველს, რომლის ბუნებაც არ შეესაბამება გარეგან პირობათა ცვლას. თუმცა მარტოღოლენ გაურკვეველი ცვალებადობა აშკარად არასაკმარისა მომინაზრებულ ცხოველთა თუ მცენარეთა ახალი ფორმების გამოსყვანად. მექანიზმს, რომელიც უხეშვლბობა თუ მცენარეების ცვლკულ სახეობათა ცვლილებულ განსხვავებებისაგან აყალიბებს მყარ ბუნებრივ ნიშნებს, დარვინმა მიაკვლია სელექციონერთა პრაქტიკაში. ისინი არჩევენ მხოლოდ იმ ორგანიზმებს, რომლებსაც შერეუბათა ადამიანისთვის სასარგებლო ნიშნები, მერჩევის შედეგად სულ უფრო მყოფოდ გამოკვეთილი სახით რომ გადაეცემიან თაობებიდან თაობებს.

ბუნებრივი ახალგაიურ პროცესთა დაუცხრომელმა ძიებამ დარვინი დაარწმუნა იმაში, რომ აქაც უსუსტად ისეთსავე ფორმებს ვხვდებით, რასაც უნიბარეობულ მდგომარეობაში. მხოლოდ აქ ბუნებრივ შერჩევას განაპირობებს, ერთის მხრე, არსებობისათვის ბრძოლა (შედასახებობრივი თუ სახეობათაპირისი), მეორეს მხრივ კი — ბრძოლა გარემო პირობების წინააღმდეგ. ბუნებრივი შერჩევა, დარვინის მიხედვით, ესაა არსებობისთვის ბრძოლისა და ორგანიზმთა მექვიდრეობითი ცვალებადობის გარდულული შედეგი.

ბუნებრივი შერჩევის პროცესში ხდება ორგანიზმთა ადაპტაცია საარსებო პირობების მიმართ. ერთნაირი საარსებო მოთხოვნილების მქონე სხვადასხვა სახეობათა კონკურენციის შედეგად ნაკლებად შეტყუებული სახეობები იღუპებიან. ორგანიზმებში საადაპტაციო მექანიზმთა სრულყოფას, დარვინის მიხედვით, იქნებ შევყავართ, რომ გამოდგებით რთულდება მათი ორგანიზაციის დონე, რაც ევოლუციური პროგრესის გადაწყვეტ ფაქტორად იქცევა. თუმცა ბუნებრივი შერჩევა არ შეივას არავითარ წინამძღვრებს, რომლებსაც შეუძლიათ ორგანიზაციის აუცილებელი სრულქმნილების გზით წარგმართათ ევოლუცია: თუ მოცემული სახეობისთვის აწინარი



სრულქმნილება არახელსაყრელია, შერჩევა ხელს ვერ შეუწყობს ამას. დარწმუნს მაინცა, რომ მარტივ სასიცოცხლო პირობებში ორგანიზაციის მაღალი დონე, უმაღლესი, მაინც (რთული აგებულების ორგანიზმთა მეტი მონყვლელობის შედეგად). ამიტომ დედამინაზე ყოველთვის ერთდროულად არსებობენ მაღალორგანიზებული სახეობებიც და ფორმებიც, მარტივ აგებულებას რომ ინარჩუნებენ" (ნ. იორდანისკი).

1859 წელს გამოქვეყნდა დარწმუნის მთავარი შრომა "სახეობათა წარმოშობა ბუნებრივი შერჩევის გზით", რასაც მოჰყვა „ცვლილებების შინაურ ცხოველებსა და მცენარეებში" (1868), „ადამინის წარმოშობა" (1871) და სხვ. ეს, როგორც იტყვიან ხოლმე, მოწმენდილ ცაზე მების გაჯერდნას ჰქვამდა. საღვთო წერილით საკრალიზებულია და საუკუნეებით განმტკიცებულ რწმენებს, რომლის მიხედვითაც სწორედ ადამიანი იყო ღვთაებრივი შესაქმნის ვივრგვინი, დაიმტკარლურად დაუპირისპირდა მცენიერული კონცეფცია ადამიანის ცხოველური წარმომავლობის შესახებ. და სათანადო რედაქციაშიც არ დაახანა. ცნობილი ინგლისელი გეოლოგი ადამ სეჯვიკი, რომელიც დარწმუნს თავის მასწავლებლად მიაჩნდა, 1859 წელს, „სახეობათა წარმოშობის" გამოსვლისთანავე თავის ყოფილ მოწაფეს სწერდა: „ჩვენ ყველანი ვაღიარებთ ღვთაებრივებას, როგორც ისტორიულ ფაქტს, მაგრამ რითი დაიწყა იგი? აი, აქ კი ჩვენ სიტყვებიცაა და, მით უმეტეს, აზრითაც, სრულიად განსხვავდებით ერთმანეთისგან. არსებობს ზნობრივი თუ მეტაფიზიკური ბუნება, ისევე, როგორც ფიზიკური; კაცო, რომელიც ამას უარყოფს, სიცივის ქაზმბია ჩაფლული". თავის წერილს კი ასე აწერდა ხელს: „ამჟამად — მაიმუნის ერთ-ერთი შთამომავალი, ოფელს კი — თქვენი ძველი მეგობარი".

ამ ფაქტთან დაკავშირებით, დარწმუნს გულისტკივილით სწერდა ა. გრისს: „მე არასოდეს არ მეგონა, რომ ინციპიტორი შეიძლება კარგი ადამიანი ყოფილიყო, ახლა კი ვფიქრობ, რომ მან შეიძლება დამწეს კოცონზე და ისეთი კეთილი და დიდებული გული კი ჰქონდეს, როგორც სეჯვიკს".

იმავე 1859 წლის 19 ნოემბერს „ათენუმში" გამოქვეყნებული ანონიმი თოლოფის საღანდღავი რეცენზიის გამო დარწმუნს თავის გულისტკივივს უზარადად ცნობილ ინგლისელ ბოტანიკოსს უილიამ ჯექსონ ჰუკერს: „მანერა, რომლითაც ის საქმეში რთავს უკდაგებას და, ამრიგად, ჩემს დასაფლეთად აქეუტებს სამღვდელთებას, — უსაბავლესი მანერაა. თვითონ, ალბათ, მე არ დამწვავდა, მაგრამ ფინის კი მიიტანდა კოცონთან და ეშმაკის მოიქცეულებს მისანავლდა, როგორ დამფლეთონ".

და იმავე 1859 წელს კიდევ ერთი წერილი ლებოკის მიმართ: „როცა პირველად დამტკივდა, რომ ელვას და მუხთატებას მეორეული მიზეზები იწვევენ, მორწმუნე-თათვის აუტანელი იყო იმის გაგება, რომ ყოველ გაულებებში უფლის ხელი არ ურევია".

აი, კიდევ ერთი ამონარიდი მომდევნო — 1860 წლის 22 მაისს ა. გრისისათვის გაგზავნილი წერილიდან: „რაც შეეხება საღვთისმეტყველო წარმოდგენას მოცემულ საკითხზე, მას ყოველთვის უსიამოვნება მოჰქონდა ჩემთვის... მე სრულიადაც არ მიცდია ათეისტური სულისკვეთებით მენერა".

და ბოლოს, ტკივილით გულშემძრული კაცის წერილი დიდი ინგლისელი გეოლოგის ჩარლზ ლაიელის მიმართ: „რა მწარეა იყო ისე საძულელი, როგორც მე ვუსულავი".

შეიძლებადა უსასრულოდ დაგვემონებინა მსგავსი ექსცენტები, მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, მორწმუნე იყო თუ არა ევოლუციური თეორიის ფარგლებში. თუმცა ამითათვე უნდა შევინშნით, რომ საბოლოო დასკვნის გამოტანა ძალზე ძნელია, რადგანაც დარწმუნის რელიგიურ წარმოდგენათა ანალიზი თანაბრად გვიმონებებს მის რწმენასაც და ურწმუნეობასაც. აქ, როგორც ჩანს, გადამწყვეტ როლი უნდა შეესრულებინა დარწმუნის აღზრდას, მის სოციალურ მდგომარეობას, ოჯახურ გარემოცვას, იმდროინდელი ბრიტანული საზოგადოების, უნივერსიტეტისა, ინტელექტუალური ფენის მსოფლმხედველობრივ ორიენტაციას, და, ბოლოს, რაღა თქმა უნდა, დიდი ბიოლოგის სუსტ ნებისყოფას და მრეყვდ ხასითს (ამ მხრივ, ის ძალიან მოვავაგონებს თავის დიდ თანამედროვეს, გენიალურ რუს მწერალს ლევ ტოლსტოის). დაუკვირდით ქვემოთ მოტანილ, თავიანთი არსით დაიმეტრალურად ურთიერთსაპირისპირო ციტატებს და, ჩემი მხრივ, ყოველგვარი კომენტარის გარეშე, თავად განსაჯეთ:

„იმ ხანად ჩემს ჯონებში გამუდმებით იმადგებოდა ერთი კითხვა, რომელიც ვერასდგებობით ვერ მომეცილებინა თავიდან: ღმერთს რომ ენებებინა ახლა გამოგზავნა გამოცხადება ინდოელებსათვის, ნუთუ დაუშვებდა, რომ ეს დაკავშირებული ყოფილიყო ვიწწს, შივას და სხვათა რწმენასთან, შივასთან იმისა, როგორც ქრისტიანობა უკავშირდება ძველ ადელფას? ეს მე სრულიად წარმოუდგენლად მეჩვენებოდა. შემდეგ იმაზე ვფიქრობდი, რომ საჭირო იქნებოდა ყველაზე ნათელი მტკიცებულებანი, რათა ეთძლებინა ნებისმიერი ნორმალური ადამიანი, ვრწმუნე ის სახანალები, რომლებითაც დასტურდება ქრისტიანობა; რომ რაც უფრო მაყარად შევიცნობო ბუნების კანონებს, მით უფრო წარმოუდგენელი გვეჩვენებდა სახანალები; რომ იმ შორეულ წარსულში ადამიანები სრულიად უფიცნი და მალეწმენნი იყვნენ, რაც თითქმის შეუძლებელი გგონია დღეს; რომ ძნელი დასაჯერებელია, თითქმის სახარებები შედგენილი იქნენ იმ დროს, როცა მათში აღწერილი მოვლენები ხდებოდა; რომ ისინი სხვადასხვანაირად გადმოგვემცნენ ბევრ სხვათა წერილმანს, ჩემი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანს საიმისოდ, რომ ეს სხვადასხვაობა მოწმენთა ჩვეულებრივი უზუსტობებისთვის მიგვეწერა".

„ამაიერი და ბევრი სხვაგვარი მსჯელობის გამოც, თანდათანობით იქამდე მივედი, რომ უკვე აღარ მწამდა ქრისტიანობა და ღვთაებრივი გამოცხადება. ჩემთვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტსაც, რომ ბევრი ცრუ რელიგია ზებუნებრივი სისწრაფით ვრცელდებოდა მთელი დედამიწის ზურგზე... მაგრამ მე სულაც არ ვაპირებდი საბოლოოდ უარი მეთქვა ჩემს რწმენაზე. დარწმუნებული ვარ ამაში, რადგანაც კარგად მახსოვს, რა დაფინებით ვუბრუნდებოდი ფანტასტიკურ ოცნებებს,



რომ პომიკეში ოდესმე მაინც აღმოაჩენდნენ ძველებურ მიმონერას სახელგანთნ რომელია შორის, ან ძველთუძველეს ხელნაწერებს, გამოაგნებლად რომ დაგვიდასტურებდნენ ყველაფერს, რასაც ვადმოგვეცემენ სახარებები. მაგრამ მთელი იმ თავისუფლების მიუხედავად, მე რომ ვანიჭებდი ჩემს ფანტაზიას, სულ უფრო და უფრო მიჭირდა იმნაირ მტკიცებულებათა მიკვლევა, რომლებიც შეძლებდნენ ჩემს დარწმუნებას“...

II

„თვით უკიდურესი ყოყმანისას მე არასოდეს ვყოფილვარ ათვისის, იმ გაგებით, რომ ღმერთის არსებობა უარმყო“.

„კარაულ, თითქოს თვლი ველოუციის შედეგი იყოს, მე აბსოლუტურად აბსურდულად მეჩვენება“.

„დედამინაზე სიცოცხლის წარმოშობის ახსნა მხოლოდ შემთხვევითობის ძალით, იგივეა, რაც მტკიცება, თითქოს ლექსიკონი ტიპოგრაფიაში მომხდარი აფეთქების ძალას შეექმნას“.

„შეუძლებელია ვეღარიოთ, რომ ეს დღიად და საოცარი სამართო, ისევე, როგორც ჩვენ — ცნობიერი არსებები — შემთხვევითი ვიყოთ შექმნილნი, რაც ღმერთის არსებობის ყველაზე ნათელ დასტურად მეჩვენება. სამაჟერ კანონ-ზომიერებებზეა დაფუძნებული და თავის ყველა გამოვლენაში გონების პროდუქტად წარმოგვიჩნდება, რაც ჩემს შემოქმედზე მიგვიანიშნებს“.

„მე არასოდეს უარმიყვია ღმერთის არსებობა. ჩემი აზრით, ევოლუციის თეორია სასებებით შეთავსებადია რწმენასთან; — აკი შეუძლებელია დავამტკიცოთ, რომ ის დღიად და გამოაგნებელი კოსმოსის, ისევე, როგორც ადამიანი, სრულიად შემთხვევითი არიან“.

ღარვინცა ეს სიტყვები შეიძლება და ეპიგრაფად ნამძღვრებოდა მისი დიდი კოლეგის, სახელგანთნებული ფრანგი ევოლუციისა და პალეონტოლოგის, არქეოლოგის, ანთროპოლოგისა და თეოლოგის ტიარ დე შარდენის (1881—1955) მოძღვრებას, ვადმოცემულს მის შედეგში „ადამიანის ფენომენი“ (დაინერა 1938—1940 წლებში; გამოუცყვდა ავტორის სიკვდილის შემდეგ), რომელიც შემდეგი ძირითადი ნაწილებისაგან შედგება: „სინარესიცოცხლე“, „სიცოცხლე“, „აზრი“, „ნესიცოცხლე“.

„სინარესიცოცხლის“ დასაწყისშივე ტიარ დე შარდენი ავლენს „სამაჟაროს ქსოვილის“ — ელემენტარული მატერის საშხაბოან არსს:

ა) უნარეს ყოვლისა, მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ო ბ ა. უნივერსუმის აბსოლუტური ატომურობა თვალნათელი ვლინდება ყოველდღიურ ცდაში. ის გამოხატულებას პოლომბს ნეიმის ნევეტშიც და ქეიშის მარცვლებშიც. ის გრძელდება ცოცხალ არსებათა სინარესული და ცოურ

* იგულისხმება თვალის და, საერთოდ, მხედველობის შექანიზმის გამოაგნებლად როდული და ზუსტი სტრუქტურა. — ბ. ბ.

სხეულებში. მისი ამოცნობა შეიძლება თვით მკვდართა ფერფლიც, ადამიანს არც მიკროსკოპი სტრუქტურა და არც ელექტროლი ანალიზი, რათა მიმწვდარიყო, რომ მისი სიცოცხლე მტერიცაა გარემოცული და მტვერზედგვა დაფუძნებული. მაგრამ ამ ნაწილაკების გამოთვლამ და აღწერამ მოითხოვა თანამედროვე მეცნიერების წარმოუდგენელი მოთმინებით აღჭურვილი მთელი გულმოდგინება და გამჭრიახობა... რაც უფრო ქვემოთ ვეშვებით დაღმავალი საფეხურებზე, როცა თანდათანობით მჭირდება ზომები და, პირიქით, იზრდება რაოდენობა, სამაჟაროს მთლიანი სურათი ძირფესვიანად იცვლება, თანდათანობით იძლება და იცრცება მისი კონტურების სიმკვეთრე. სიღრმისა და დაქუცმაცების გარკვეულ ზეგარეს მიღმა ჩვენი სხეულების ყველაზე ჩვეულებრივი თვისებები (სინათლე, ფერი, სითბო, შეუღწევადობა და სხვა მისთანანი) თავიანთ აზრს კარგავენ...

ბ) მაგრამ რაც უფრო ხელოვნურად ვხლერთ და ვაქუცმაცებთ მატერიას, მით უფრო თვალსაშინო ხდება მისი ფ უ ნ დ ა მ ე ე ტ რ უ ი ე რ თ ო ბ ა.

თავისი ყველაზე არასრულყოფილი, მაგრამ ყველაზე ადვილად წარმოსადგენი ფორმით ამ ერთობას გამოხატავს გამოვლენილი ნაწილაკთა განსაცვიფრებელი მსგავსება. მოლეკულები, ატომები, ელექტრონიები — ეს ნამეტაც სხეულები, მათი სხვადასხვა სიდიდისა თუ სახელმწიფების მიუხედავად, მასისა და ქვევის სრულ იგივეობას ავლენენ (ყოველ შემთხვევაში, იმ დისტანციიდან, საიდანაც მათ ვაკვირდებით). თავიანთი ზომებისა და მოქმედების ისინი განსაკვეთრებლად უმადარტულნი და ერთფეროვანი ჩანან. თითქოს ყველა ზედაპირული, ეგზობი მომზუნხველი ლივილი თანდათანობით ქრება სიღრმეში. თითქოს ყველა ქსოვილის ქსოვილ სუბსტანციის მარტვისა და ერთიან ფორმაზე დაიყვანება...

გ) ე ნ ე რ გ ი ა მატერიის მესამე სახეა. ამ ტერმინს, რომელიც ფსიქოლოგიურად ძალისხმევას აღნიშნავს, ფიზიკამ მაინცა ზუსტი მნიშვნელობა — მოქმედების, ან, უფრო სწორად, ურთიერთმოქმედების უნარი. ენერგია იმის ზომაა, რაც ერთი ატომიდან გადაცემა მეორეს მათი გარდაქმნის პროცესში. ამრიგად, ესაა კავშირურთიერთობის უნარი და, იმადროშულად, შედგენილობის გამოხატულება; რაკილა ატომი ვაცვლავა-გამოცვლის პროცესში, როგორც ჩანს, მიდრედება ამ ფორტება.

ენერგეტიკული თვალსაზრისით, რომელიც რადიოაქტივობის მოვლენებითაა განახლებული, მატერიალური ნაწილაკები დღეს შეიძლება განვხილეთ მოვლელთ კონცენტრირებული ძალის დროებითი რეზერვუარები. და მართლაც, მუდმივად გამოვლენილი წინმდა კი არა, მეტწილად გრანულირებული სახით (თვით სინათლედგე), ენერგია, თანამედროვე მეცნიერების მტკიცებით, უნივერსუმის ქსოვილის ყველაზე პრიმიტიულ ფორმად გვეცნობინება. აქედან, ჩვენი წარმოსახვის ინსტინქტური სწრაფვა: განხილოს ენერგია როგორც ერთგვარი დასაბამიერი ნაკადი, ხოლო ყველაფერი, რასაც ამ ქვეყნად ფორმა აქვს, როგორც მისი „მსწრაფლანარებალი „ტალღები“...

თუცა ტიარ დე შარდენი იქვე დასძენს, რომ უნივერსალური მატერიის ამ სამი ასპექტის ცალ-ცალკე, იზოლირებულად განხილვა მხოლოდ ხელოვნური



მეთოდია, რადგანაც „თავისი ფიზიკური და კონკრეტული რეალობით აღებული უნივერსუმის ქსოვილი ურღვევია. როგორც ერთგვარი გვიგანტური „ატომი“, ის თავისი მონაირებით ქმნის ერთადერთ რეალურ განუყოფლობას [გარდა აზრისა, სადაც ის მეორე პოლუსზე კონცენტრირდება].“

ყველაზე შორეული ნარსულიდან მოყოლებული, მატერია, ტვიარ დე შარდენის მიხედვით, ევოლუციის პროცესში წართულად წარმოგვიჩნდება. „დასაბამისს, ყველაზე დაბლა, სინათლის ბუნების ჯერ კიდევ უშუალო, ენით უთქმელი და გამოუხატავი სიმარტივეა. შემდეგ, ანაზღაურება, ელემენტარულ ნაწილაკთა ფთოფთობა; იგულისხმება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ნაწილაკების (პროტონები, ნეიტრონები, ელექტრონები, ფოტონები...), რომელთა სივც გაფუნჯეკლები იზრდება. შემდეგ მოდის მარტივ სხეულთა პარამიონული მწკრივი, ატომური გამშის ნობტებით რომ მისდევს ერთიმეორეს ნალობადიდან ურანამდე. ბოლოს, რთულ სხეულთა წარმოუდგენელი სიმრავლე; მათი მოლეკულური მასებები გარკვეულ კრიტიკულ სიდიდემდე იზრდება, რომლის შემთხვევაში, როგორც ენახათ, ინებათა სიცოცხლეზე გადასვლა.“

„ადამიანის ფენომენის“ ავტორი საგანგებოდ ამხვილებს ყურადღებას და ხაზგასმით აღნიშნავს სხვაობას ელემენტარულ ნაწილაკთა ორ, არსებითად ურთიერთსაპირისპირო ინტერპრეტაციას — ფიზიკისა და ბიოლოგიის სფერო ინტერპრეტაციებს შორის: ფიზიკოსისათვის ელემენტარული ნაწილაკები, ატომები-და მოლეკულები უნივერსუმის ქსოვილის, უსიციველო მატერიის თავიდაც უსიციველო აგრეგადი საცენი ავლენება“. მაგრამ მე, ტვიარ დე შარდენის მტკიცებით, მხოლოდ „გარეგნული მხარე“ მატერიისა, რომლის ჩვენული წარმოდგენაც არამც და არამც არ იქნება სრული „შინაგანი მხარის“ გარეშე:

„ფიზიკოსის თვალში, ყოველ შემთხვევაში, აქამდე მანც, არავითარ კანონიერ, გარდა საგანთა „გარეგნული მხარისა“. ამანარი ინტელექტუალური პოზიცია, ასე თუ ისე, დასაშვებია ბაქტერიოლოგისათვის, ვისი უკულტურებიც გაიხილებიან (მართალია, არცთუ ზოგიერთი არსებითი სიმულის გარეშე) როგორც ლაბორატორიული რეაქტივები. მაგრამ ის უკვე საკმაოდ უხერხულია ენაქარეთა საწყაროში. იგივე პოზიცია საეჭვოა ბიოლოგისთვის, მწერებისა და ნაწალაფურთათნა ცეკვას რომ წაწალობს. ის უუარვისა ხერხეშლიანთა შესწავლისას, და ბოლოს, აბსოლუტურად ფუჭია იმ შემთხვევაში, როცა ადამიანს ეტება საქმე, ვისი „შინაგანი საწყარო“ იგნორირება უკვე შეუძლებელია, რამდენადაც ეს ფაქტი უშუალო ინტელუციის საგნად და ყოველგვარი შეფენების საფუძვლად გვევლინება.“

საგანთა „შინაგანი მხარე“, ამბობს ტვიარ დე შარდენი, სხვა არა არის რა, თუ არა „ცნობიერების ფენომენი“, რომელიც მხოლოდ სიცოცხლის უხუნესი ფორმებითაა შემოფარგლული, რაც მენიერებას საკმაოდ დიდხანს აძლევდა იმის საბაბს, რომ საწყაროს მისულები მოვლდებოთ საერთოდ არ გაეთვალისწინებინა იგი... „ცნობიერება სრული სიცხადით ვლინდება მხოლოდ ადამიანში. მაშასადამე, ის კერძო შემთხვევა, და ამიტომ სანიტრე-

სო არ არის მეცნიერებისათვის“. აღბათ, ასე ვიტყვიდით უნინ. დღეს კი სხვაგვარად უნდა ვთქვათ: „ცნობიერება ცხადად ვლინდება ადამიანში; მაშასადამე, ამ ერთადერთ ნაწილ-კალში გამოვლენილი — მიუღო კოსმოსში ვრცელდება და გარემოსილია შარაგანდით, დრისა და სიერცემი უსასრულოდ რომ აგრძელებს მას... ეს საკ-მარისია, რათა საგანთა „შინაგანი მხარე“ ყველაზე და ყოველთვის არსებობდეს ბუნებაში. რაკელა უნივერსუმის ქსოვილის თავის ერთ ნერტილში მოქმედება შინაგანი მხარე, მაშასადამე, ეს ქსოვილი აუცილებლად ორმხრივია თვით თავისი სტრუქტურით, ისევე როგორც, ვთქვათ, მარცვლოვანია სტრუქტურულად-ამრცად, საგნებს აქვთ არა მარტო გარეგანი, არამედ მისი თანაერცველი შინაგანი მხარე“.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, პირველად მატერიის ელემენტები თანდათანობით რთულდებათ ევოლუციის პროცესში, ხოლო უნივერსუმის ქსოვილის თანდათანობით გართულებას კვალდაკვალ იზრდება ფსიქიკა თუ ცნობიერების ელემენტოც. საგანთა „შინაგანი მხარის“ ცვალებადობას პირდაპირ პროპორციულია მათი „გარეგანი მხარის“ ცვლილებისა, რაც რადიკალიზაციის თვისობაობა-ბით გადასვლის კანონს ექვემდებარება:

„ცნობიერება მით უფრო სრულყოფილია, რაც უფრო რთული და უკეთ ორგანიზებული მატერიალური სტრუქტურის თანხმდება გვევლინება. სულიერი სრულქმნილება (ანუ „ცნობიერების კონცენტრაცია“) და მატერიალური სინთეზი (ანუ სირთულე) სხვა არა არის რა, თუ არა ერთი და იმავე მოვლენის ორი სხვადასხვა მხარე. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ყოველი არსება ავტენტული (დენომინოლოგიურ სიბრტყეზე) ელემენტის მსგავსად ორი ურთიერთმუდგებელი ფოკუსის — მატერიალური ორგანიზაციისა და სულიერი კონცენტრაციის ფოკუსისა ირგვლივ; ამასთანავე, ორივე ფოკუსი ურთიერთმთავანხმებულად იცვლება ერთი და იმავე მიმართულებით“.

ეს ორი ფოკუსი ორი სხვადასხვა ენერჯის — ფიზიკური და ფსიქიკური ენერჯის წყაროა, თუმცა ტვიარ დე შარდენის მიხედვით, ორივე ენერჯია, არსებითად ფსიქიკური ბუნებისაა (ელემენტარული მატერიაში — ლატენტური, ევოლუციური განვითარების პროცესში კი — თანდათანობით მზარდი და სულ უფრო და უფრო აშკარა სახით). მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ „ყოველ ელემენტსა თუ ნაწილაკს ეს უნდაემკვეთი ენერჯია ორ შემადგენელ ნაწილად იყოფა: ტ ა ნ ე ც ა ლ უ ლ ე რ ე ნ ე რ გ ი ა დ, რომელიც მოცემულ ელემენტს იმავე რიგის ცი-მავე სირთულისა და იმავე შინაგანი კონცენტრაციის“ ყველა სხვა ელემენტთან აერთებს; ტ ა ა დ ი ა ლ უ რ ე ნ ე რ გ ი ა დ, სულ უფრო რთული და შინაგანად კონცენტრირებული დეგომარეობის მიმართულებით რომ ამორავებს მას“. წარმოდგინით ევოლუციის აღმავალი სპირალის სახით: ტანგენციალური ენერჯია ევოლუციის პროცესს წარმართავს სპირალის ერთი ხვეულის განსწრვ, მაშინ როდესაც რადიალური ენერჯია ახალ ხვეულზე, ე.ი. ორგანიზაციის უფრო მაღალ დონეზე გადასვლას იგივე პროცესით.

მატერიალურ სტრუქტურებში ლატენტური, ფარული სახით არსებული ცნობიერების ელემენტი ევოლუციის პროცესში იზრდება და რთულდება კიდევ ამ



სტრუქტურათა ზრდისა და განვითარების კვალდაკვალ, რათა ბოლოს ევოლუციის დომინანტურ ფაქტორად იქცეს. რელიგიაში დღეობრივი შესაქმის გვირგვინად დასახული ადამიანი ტვიარდინში ევოლუციის გვირგვინად გვევლინება თავისი ფსიქოფიზიკური სირთულისა და სრულყოფილად ორგანიზებული ცნობიერების წყალობით, ასე რომ, ცნობილი ინგლისელი ბიოლოგის ჯულიან ჰაქსლის თანახმად, ევოლუცია სწორედ ადამიანის მეშვეობით შეიცვალა საკუთარ თავს. ადამიანი უნივერსუმის ცენტრი კი არ არის — ამბობს ტვიარ დე შარდენი, არამედ, რაც გაცილებით უფრო მშვენიერია, — დაიდი ბიოლოგიური სინთეზის მაღლა მსწრაფი მწვერვალი. ადამიანი, მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი, — აი, წარმოშობის მიხედვით ყველაზე ცინცხალი, ყველაზე რთული, ცისარტყელასებრი მოღვაწე და მრავალფეროვანი ფენა სიცოცხლის თანმიმდევრულ ფენათა შორის“.

ადამიანის მოვლინებით დასაბამი ეძლევა სრულიად ახალ ერას კოსმოგენეზის ისტორიაში, კოსმოგენეზისა, რომელიც, ადამიანის ფეროშენის“ ავტორის აზრით, სამ

ძირითად ეტაპს მოიცავს — არაცოცხალ, ცოცხალსა და ადამიანურ სინამდვილეს. ამ ევოლუციური სპირალის ბოლო ხვეული, მთელი მისი თვისობრივი სხვაობის მიუხედავად, უშუალოდ აგრძელებს წინა ხვეულებს, რასაც ევოლუციური პროცესის დასაბამითვე წინასწარ განსაზღვრული მიზანმიმართულება განაპირობებს, თავისთავად რომ გამოირჩევა შემთხვევითობის როლსა თუ ვიტალურ ძალთა ქაოტურ თამაშს. „სიცოცხლისა და ადამიანის შემთხვევითი წარმოშობა — შენიშნავს რუსი აკადემიკოსი ვლადიმერ ფორტოვი, — ისევე წარმოუდგენელია, როგორც „ბოინგის“ მარკის თვითმფრინავის მომენტალური აწყობა ნავის გროვანზე გადაქროლილი ქარიზლის მიერ“. (მდრ. დარენის ზემოთ ციტირებული სიტყვები: „ადამიანზე სიცოცხლის წარმოშობის ახსნა მხოლოდ შემთხვევითობის ძალით, იგეგვა, რაც მტკიცება, თითქოს ლექსიკონი ტიპოგრაფიაში მოხდარი აფეთქების ძალას შეეძნას...“).

დასასრული შემდეგ ნომერი

სად ნაიყვან სადაუსრა

ჟიჰერ ნეისმიტი


წინასიტყვა ნიკოლოზ ჩხოტუას რომანისა „სამარადისო სიყვარული“

1988 წლის მაისში ახალგაზრდა ქართველი ქალბატონი გაეშურა წმინდა პანტელეიმონის სახელობის ეკლესიასთან მდებარე სასაფლაოზე. ეს მოხდა თბილისში, იმდროინდელი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქში. ქალბატონს ახლად ორი უცხოელი, რომლებიც პირველად იყვნენ საბჭოთა კავშირში. ერთ-ერთი მათგანის ზურგჩანთაში იდო რომელიც, რომელიც მათ მოსკოვის საბაჟოს გამოპარავს. რკინის კოლოფში ადამიანის გული იყო — ახლა უკვე ფეხფულად ქცეული. ისინი მოუახლოდნენ მე-19 საუკუნის ულამაზეს ეკლესიას, საიდანაც დედაქალაქისა და კავკასიონის შესანიშნავი ხედი გადაიხალა. მათ კარგად იცოდნენ, რომ თავიანთი ქმედებით საბჭოთა ხელისუფლებას პრძოლას უტყაფებდნენ. ისიც მშვენიერად იცოდნენ, რომ მათი ამბოხი, ალბათ, მხოლოდ უშიშვნელი ფესტი იქნებოდა იმ უდიდეს საბჭოთა უსამართლობაში, რომელიც ამ სისტემამ თავის მოახვია უძველეს ერს 67 წლის მანძილზე.

კაცი, ვისი გულიც ჩამოიტანეს, ნიკოლოზ ჩხოტუა იყო, ამ რომანის ავტორი. 1921 წელს, 16 წლის ასაკში, როცა მან საქართველო დატოვა, ვერც ის და ვერც მისი ოჯახის წევრები ყველაზე კომპარულ სოხმარშიც კი ვერ წარმოიდგენდნენ, რომ მათი სამშობლო სრულყოფილ მოსყდებოდა დანარჩენ სამყაროს მთელი სამი თაობის სიცოცხლის განმავლობაში. ვერც იმას იფიქრებდა, თუნდაც ნ-

მით, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე თავისი სათაყვანებელი სამშობლოდან მონყვეტილ ლტოლვილად იქცეოდა. ისევე, როგორც ბევრი სხვა ქართული ოჯახი, ნიკოლოზ ჩხოტუაც იძულებული გახდა, გაქცეოდა 21 თებერვლს ქვეყანაში შემოჭრილ ბოლშევიკურ არმიას. იმ დღიდან მოყოლებული 1984 წლის ჩათვლით, გარდაცვალებამდე, მან სამშობლოში დაბრუნება ვეღარ შეძლო. აღსანიშნავია, რომ 60-იანი წლების მიწურულამდე, როცა მუხლმდული სატელეფონო კავშირი უკვე რეალბად იქცა, იგი სამშობლოში დარჩენილ ნათესავეებს არ შეხმიანებია. ემიგრანტთა უმრავლესობა უფროსობდა საბჭოთა კავშირში დარჩენილ ნათესავეებთან კავშირს, რასაც, მათი აზრით, მხოლოდ ზედმეტი პრობლემების გამოწვევა შეეძლო.

ისევე, როგორც მილიონობით რუსი, ქართველი, აზერბაიჯანელი თუ სომეხი ემიგრანტი, რომლებმაც თავი დააღწიეს რევოლუციას, ნიკოლოზ ჩხოტუაც მთელი ცხოვრება სათუთად ატარებდა თავისი დაქარგული სამშობლოს ნახვის დაუოკებელ წყურვილს. მრავალი წლის შემდეგ, როგორც კი სამშობლოში ჩამოსვლის ციგურ შესაძლებლობა გაჩნდა, ამ განზრახვის განხორციელებამ მას, სამწუხაროდ, უკვე ჯანმრთელობამ შეუშალა ხელი. დაბოლოებით ამ დროს ითხოვა — გული მინც დამარხათ ქართულ მიწაში, ქვეყანაში, სადაც გაიზარდა, რომელიც ასე უყვარდა და რომლის განუყოფელი ნაწილიც იყო...



მიუხედავად იმისა, რომ სხვა წინგების დანერგვისას გვემედა, „სამარადისო სიყვარული“ აღმოჩნდა ნიკოლოზ ჩხოტავის ერთადერთი დასრულებული ნაწარმოები. 40-იან წლებში ინგლისურ ენაზე დაწერილი წიგნი მოგვითარობს ახალგაზრდა კაცზე, რომელიც ემიგრაციის შემდეგ ბრუნდება საქართველოში. ალბათ, დიდი ფანტაზია არაა საჭირო იმის მისახვედრად, რომ ეს მოგზაურობა ავტორის მიერ განსაკუთრებული სიმძაფრითაა განცდილი. არც ისაა შემთხვევითი, რომ იგი თავის წარმოსახვით მოგზაურობაში აღმოაჩენს ყველაზე წმინდა და იდეალიზებული სიყვარულს და ეს ყველაფერი უკავშირდება მინაწყალს, სადაც მან ბავშვობა გაატარა. მკითხველი აქვარად გრძნობს მშობლიური მიწის მონატრებასა და დიდ სიყვარულს, რაც მთელ წიგნს გასდევს. როგორც 1949 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში აღნიშნავდა ალფრედ ნოელი, ბრიტანელი პოეტი, „სწორედ ეს დახვეწილი მწუხარება განსორბობსა ქმნის რომანის სტრუქტურას და ანიჭებს მას უძლიერეს მუხტს“.

ამის მიუხედავად, უაქველი, ისაა, რომ მოქმედების ძირითადი ნაწილი ნამდვილ ამბებს ემყარება. უზარალოდ, საჭირო ვიცოდეთ თუნდაც მხოლოდ მშრალი ფაქტები ავტორის ცხოვრებამდე.

თავადი ნიკოლოზ ჩხოტავა დაიბადა ბათუმში, საქართველოს შავი ზღვის სუბტროპიკულ სანაპიროზე 1905 ან 1906 წელს. დაბადების ზუსტი თარიღი უცნობია, რადგან მოქალაქეთა მრავალი დოკუმენტი ახალგაზრდა და ხანმოკლე მემწეიკური მთავრობის (1918-1921) სასწრაფო გამგზავრებისას დაიკარგა. მამამისი, შალვა ჭყონია, მდიდარი ქართველი ბიზნესმენი იყო, რომელიც თავადივილ კელაძეა ჩხოტავაზე დაქორწინდა. მოგვიანებით სწორედ ეს გვარი აიღო ნიკოლოზმა — მას შემდეგ, რაც ბაბუამისმა (მედის მხრიდან) მასზე მხრუნველობა იკისრა (იმ ემიგრანტებისაგან განსხვავებით, რომელნიც ლამის ვაზში, უცხოეთისაკენ მიმავალი, იკონტინდეს საკუთარ თავადურ ნარმომავლობას). თუმცა საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე, ალბათ, ყველაზე მეტი თავადი მოდის ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან შედარებით. ჩხოტავა ახლა უკვე ვალაქატეხული საგარეულო ერთ დროს მამულს ფლობდა სამურხავეთში (დღევანდელ გალში).

ნიკოლოზმა ცხოვრების პირველი 16 წელი გაატარა ბათუმში, თბილისსა და ზაფხულობით — მონაქვარში (საფრანგეთი), სადაც მის ოჯახს საკუთარი სახლი ჰქონდა. განათლება ძირითადად თბილისის გიმნაზიაში მიიღო და მის მხატვრული წარმოსახვაც სწორედ თბილისთან არის დაკავშირებული. როდესაც ბათუმში 1918 წელს შეიქმნა ბრიტანეთის არმიის 20.000-იანი გარნიზონი, დამხმარე თანამშრომელთაგან ერთ-ერთი, სახელად ვერონიკა (იგი ნიკოლოზ ჯერის ვეილი მუშაობდა), ნიკოლოზის მამის ზიძაშვილს გაჰყვა ცოლად. ეს ქალბატონი, „ვერონიკა მამი-

და“, როგორც შემდეგ შეიტყობთ, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ახალგაზრდა ქართველის ცხოვრებაში.

1921 წელს, როგორც კი ბოლშევიკურმა არმიამ ქართული წინააღმდეგობა გაანადგურა, ოჯახმა გადაწყვიტა, ნიკოლოზი საფრანგეთისათვის მოიზარდებინა და ყმანელი თავადი, გაქცეული მემწეიკური მთავრობის მსგავსად, საფრანგეთისაკენ მიმავალ გზას გაუყუცარაველი ემიგრანტის დარად, მან განათლების მიღება გააგრძელა პარიზსა და ბერლინში, ვიდრე ტუმბერკულოზის მწევე შეტევა აიძულებდა შვეიცარიის სუფთა პაერთი ემქურნალა. როცა „ამივამ“ გაიყო მის დემოკრატიის შესახებ, შესთავაზა მკურნალობა დაგსრულებინა ინგლისში, სადაც ნიკოლოზი 1931 წელს ჩაევიდა (და საბოლოოდ გამოჯანმრთელდა). იქ, ჩელსიში, მან სწრაფად შეისწავლა ინგლისური (მისთვის მეხუთე ენა) და, მამიდის მიერ გაწმენებული, 1933 წელს გაემგზავრა აშშ-ში.

გარკვეული დროის განმავლობაში ნიკოლოზ ჩხოტავა მღეროდა და მსახიობად მუშაობდა ჰოლვუდში, სადაც გაიცნო და ცოლად შეირთო კერილ მარშონი — მარშონთა საავტომობილო კომპანის დამაარსებლის ჰოვარდ მარშონის შვილი, რომელსაც მიუძღვას კიდევ „სამარადისო სიყვარული“.

1940 წელს ნიკოლოზი აშშ-ის მოქალაქე გახდა. ოჯახი ცხოვრობდა სანტა-ბარბარაში (სადაც დაიწერა „სამარადისო სიყვარული“), სან-ფრანცისკოსა და შექსიკაში. ცოლ-ქმარს ექვსი შვილი ეყალა. 1954 წელს ოჯახი გაემგზავრა ევროპაში და დასახლდა ლონდონში (შვეიცარიაში), სადაც დარჩა სიცოცხლის ბოლომდე, 1984 წლამდე. უკანასკნელ წლებში ნიკოლოზ ჩხოტავას სხედასხვა ქვეყანაში უწევდა ცხოვრება, მათ შორის: ესპანეთში, იტალიასა და მცირე ხნით — პერუში.

დვილში სადაც მთავრდებოდა ამ პოემის სიუჟეტური
ქარგა, ანტიკური ტრადიციის შესაბამისი კომპოზიციური
სრულყოფილებით: ერთი მაისნა შორითა მხარეთ ქეთული
ქალისაო...

ჩვენის ფოსტა

როსტომ, მოგესალმები!

ძალზედ ვამხარა თქვენმა მესამე ნომერმა. მართლაც
ვერსად ვიპოვე და ისევე და ისევე თქვენმა გულთადაც ვამო-
ცილებელმა ლეენამ მიწეხა. ყოვეტყას მოგონებებთან
დაკავშირების გზერ.

აი, რა მოხდა: დედაქმნის უფროსმა ძმამ — შოთამ (იბ-
ჩიძე) ტაბახელასთან და ნაილა ემერჯიანი (იბ) და ვიქო-
ვლინა — გიორგიმ — დები დამამაძიებში შერთეს მისამ-
— შედია და ყორწყება. ახლა ვრედაქტორობ ნიგნს, რომელ-
იც შოთას ვაჟმა რუზი ნიკოლაძემ დაწერა (კოლთან ერ-
თად) „ქართვლები საფრანგეთში II მსოფლიო ომის დროს“
(თარგმნის გოგი ანთილავა, უნდა გამოსცეს კახა კუდაბანი).
ხომ არ ამბებდავი რამე ნაწვეტებს ამ მოგონებებთან, შე
მგონი სინტეტრესო იქნება.

და, ჩემი მორე შეთავაზება: ვარგა ხნის წინათ, 1983
წელს გამოვეყი პატარა ნიგნს გიორგი ნიკოლაძის „პირვე-
ლი ქართული ასედა მყინვარგვერზე“ (მოქალაქეებულ წი-
ნაოქმს დავერთო, რამდენს ადამიანმა მიხილა მის შემდეგ,
მაგრამ, აბა, სადაა?! შე თვითონ ერთადერთი ეგზემპლარი
შემომჩრია, ახლახან 120 წელი შესწავლა გიორგის დაბადე-
ბიდან. თუ გგონია ვინმეს გაბასუნდა ამ საგვეტოში? ჩემ
ურწანულ ავტობიოგრაფიასთანა მოუხვეს და მანა არა მათეს
თუნდაც პატარა პროექტი განახიორციელო. თქვენ ამ დანი-
ტრესებულთან ამ იდეით, ცოლ-ქმრის მოგონებები რომ
გაგვერთობებინა და ერთ ნიგნად გამოვეყივა? გიორგის
„მყინვარგვერზე“ ჯიბის ფორმატის 90 გვერდი. ყოვეტყას
ტექსტი, ალბათ, ამდენიც არ იქნება. შენ რომ ათავაზო მის გა-
მიცემა და რედაქტირება, შე იმ, ძველ წინათქმის რამდენიმე
დებულს მიუგეტებდი ჩვენი „საოჯახო ისტორიადან“. ისე
მაგონია, ახლავი წიგნი დღეს ვალა ჩვენგანის სიმბოლო
ვალის მოხდა იქნება ნიკოლაძეთა დიდი დინასტიის წინააღ-
მ. აი, ასეთი ფიქრები და იდეები მიკარანაბა შენი
ურწანლის ერთმა პუბლიკაციამ.

ზაზა აპხინაძე



თუ მატაფორა ენის სიზმარია, თარგმნილი ტექსტი დედნის სიზმრად უნდა აღვიქვამთ...

ივანე ამირხანაშვილს ესაუბრება გურამ გომიანაშვილი

— ბატონო გურამ, რა ხდება ადამიანში, რომელსაც ერთ მშვენიერ დღეს სურვილი უჩნდება — ადვილად და დაიწყოს უცხო ტექსტის მშობლიურ ენაზე გადმოტანა?

— რასაკვირველია, ეს ერთ მშვენიერ დღეს არა ხდება, ჩემო ვანო, იმ დღეს მხოლოდ კარგა ხნის წინათ ქვეცნობიერად გარეწილი სურვილი, უკვე „დაცარ-გებული“ და „დათავთავებული“ თუ „დამტყვევებული“, ითხოვს „მონამ-გვლას“ თუ „მოსთვლას“. ეს ის სურვილია, რომელიც თითქმის ბავშვობიდანვე თან დღეებს მშვენიერების დაუფლების ერთი შეპყრობილ ადამიანს და აიძულებს, რომ აედევნოს ლამაზ პეკელას, თუ დაიჭრის, ხომ კიდევ უფრო უკეთესი, შეკონოს ფერად-ფერადი მინდვრის ყვეალებები, თეთრად აფეთქებულ ხებილს ჩამოატეხოს თუნდაც პატარა ტოტი... ხოლო მერე, უკვე მოზრდილს, ის სურვილი ათასი რამ საგნისა თუ ნივთის შიქვრის წყურვილად ექცევა, მტადრე თუ უცხოეთშიც უხდება მოგ ზაურობა... უნდა, რომ რაც სხვასა აქვს, თეთრინაც შექონდეს. ამით კი ის ადამიანები გაახაროს, ვინც უყვარს. განსაკუთრებით სხვაგანინდან ჩამოტანილი სახსოვარი რამ მოსწონთ ადამიანებს...

აი დაახლოებით ამგვარ ამბავთან გვაქვს საქმე. რა თქმა უნდა, არაის ისეთი ადამიანები, ვინც არც პეკელას ასდევნებია, არც მიდვრის ყვეალებები შეუკონია და არც გაზაფხულზე აფეთქებული ხებილისთვის ჩამოუტეხია ტოტი. ანდა ისე დაბრუნებულა შორეული მოგზაურობიდან, არაფერი უცხოური არ ჩამოუტანია. მაგრამ აკი მოგახსენებ, ასეთების საბირსპირნიც არიან, რომელთაც, ნივთიერად გამდგრების მსურველთაგან განსხვავებით, სულიერი გამდგრების წყურვილი „ახრჩობთ“. თუ პირველი საკუთარ ნივთიერ კონებას იმრავლებენ და ეს მაინცნათ თავიანთ ცხოვრების მთავარ მიზანად, მეორენი სულიერ გამდგრებაში ხედავენ ამქვეყნად თავიანთ არსებობის მთავარ აზრს. ცხადია, მიმხედით, რასაც ვამბობ: აქ ორი სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებთან გვაქვს საქმე — შემოქმედ და არამექმედ ადამიანებთან. ეს შედარება, მეორე, ნამდვილად უფრო ნათელს ხდის სათქმელს.

როგორ ფიქრობთ, თუნდაც „ვისწინააღიწი“ მთარგმნელს რა, ერთ მშვენიერ დღეს გაუჩნდა იმის სურვილი, რომ ამდგარიყო და დაეწყო უცხო ტექსტის თარგმნა? გინდაც ათონიელი გაიფხინებოდა ანდა „ქილილას და დამანას“



ქართულად მგადმოეცებდნენ (თუ გამაჩარხებდნენ). რასაკვირველია, ერისა თუ ჩვენი ეროვნული კულტურის სულიერი გამდგრების სურვილმა თუ წყურვილმა მიიყვანა მარჩბელი შექსპირამდე. მანამდე კი თითქოს იმიტომ იცხოვრა, რომ ბოლოს და ბოლოს ამ ერთი უდიდესი ბრიტანელისთვის „ესნაელებინა“ ქართული, რადგან მთელ საქართველოს ინგლისურს ვერ ასწავლიდა, უშეძლოდა კი საქართველო ნამდვილად ის საქართველო არ იქნებოდა, რომელიც დღეს არის. ეს აზრი, ბუნებრივია, ვრცელდება ყველაზე, ვინც უკვე შეიღო ის მომავალში შეძლებს უცხო ტექსტის მშობლიურ ენაზე ისე გადმოტანას, რომ ეს „უთუც“ სისხლბორცულად ეროვნული გახადოს, რათა,

როგორც იტყვიან, ჩვეს კულტურას მიეცეს და მიემატოს. ერთი სიტყვით, მთარგმნელის შინაგანი სულიერი საზნადის სათარგმნელ ტექსტამდე მისასვლელად ძალიან დიდი ხნის განაწელობაში „მწიფდება“.

— მაშინ, თუ ნებას მომცემო, სხვანაირად დავსვამ შეკითხვას, თქვენ რატომ დაინტერესდით თარგმნა?

— თქვენს პირველ შეკითხვებზე გაცემული პასუხით, ვფიქრობ, ნაწილობრივ ამ კითხვაზეც ვიპასუხეთ. მაგრამ მაინც შევეცადები ჩემი აზრის რამდენადმე განვრცოხას.

როგორც ყველა ადამიანს, და, მით უმეტეს, ქართველს, მეც შექონდა ჩემი „გვიგოებობის“ ხანა, როცა რაღაცა შინაგანი ძალა, შთაგონება თუ აზროვნება, მოსვენებას მაკარგვინებდა და სიტყვასთან მჭიდრადვდებდა ჩემი აზრების „გარეთ გამოსატანად“. როგორც ახლა მეტყვინება, ეს უთუოდ იმ უამრავი წიგნის ნაკითხვის შედეგი იყო, რომელთა ნაკითხვაც ჩემს ყრმობასა და სიჭაბუკეში მიხდებოდა.

ისე მოხდა, რომ დიდების იმ ქუჩასთან, სადაც ვცხოვრობდი, სულ ახლოს იყო ერთ-ერთი ნიგნზდადარი საქალაქო ბიბლიოთეკა, საიდანაც ერთბაშად თითქმის ყოველდღე გამოქმონდა რომელიმე ქართული ან უცხოელი ავტორის წიგნი. დილით რომ გამოვიტყევი, საღამოს მიმქონდა, საღამოთი გამოტანილს კი მეორე დილითვე ვაბრუნებდი. ასე რომ ნაკითხულს უდიერი მორიგე ვუყურებულაბოდი. ყველაფერს წიგნის გადასაბედიდან ვუსურვებდი და ეხედოდამე...

რაც რამ მომეწონებოდა, აუცილებლად რომელსამე აბლობელს ან ამხანაგს ვუყვებოდი. და ამასობაში რამდენ-



ჯერმე გულ წავეთამამე კალიმა. ზამთარში, ნამდვილი პოეტისთვის, ყინვა-თოვლა და გაძარცვულ ბუნებაში ვეძებდი შთაგონებას, ვაზაფხულზე — გამოზამთარებული ბუნება იყო ჩემი „პოეზიის“ საფანი. ზაფხულში კი, როცა არდადეგები გვეღვნივლიდა, მთელი ორი-სამი თვე სიყოფად ვიყავი. მამარბის დედა, ნიკოლაური თამარე, მთელი ქალი იყო, ვარჯჯარული. აღბათი, სულაც არ გადავატარებ, თუ ცოცხვი, რომ დილიდან საღამომდე შეუსვენებლად შევიძლია ხალხური ლექსის ლილინი. ეს „როსტომიანიო“, ეს „პეტეანიანიო“, ეს „ყარამანიანიო“, არ ვიცი, რომელი ერთი გავისიყენო. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩემდა უნებურად სულ მუდამ „ნყობილისტყევაობის ჭრქვეშ“ მიხდებოდა ცხოვრება.

ჩემს დროს პაერიც კი თითქოს ლიტერატურით იყო გატყვევნილი. როგორც ხელოვნებაზე ზიბილით თუ ვაპირ, ისე კალიაში, სადაც ვხმარებოდი, ყოველდღე თუ არა, კვირასი ორჯერ-სამჯერ მაინც წყობილია ან ცოცხალ მწერლებთან შეხვედრა ან კლასიკური მწერლობის რომელიმე ნიმუშის გახილვა...

ძალიან დიხვანს გულდამწყვეტილი ვიყავი იმის გამო, რომ ის ნიგნები, რომელთაც რუსულად კვითხულობდი, თითქმის არც ერთი ქართულად ითარგმნილი არ იყო. უმეტესად უცხოელი ავტორთა ნიგნებს ვკვლიხსხმობ. როგორც უკვე ვთქვი, თუ ნიგნი ძალიან მომეწონებოდა, ერთი სული შექონდა, სანამ ჩემს ალტკიანას სხვასაც გადავუღებდი არ, უფრო სწორად, სხვასაც გადავადებდი. თანდათან ეს ალტკიანის გადაცემა თუ გადადება სულ უფრო და უფრო არ მაქაყყოფილებდა. ვატყობდი, რომ ნელ-ნელა ჯერ რაღაც გაურკვეველი ამბიკია გამიჩნდა... თუკი შეიძლება, რომ რუსულად ყოფილიყო როგორც მთელი დღი, ისე ახალი მსოფლიო ლიტერატურა თარგმნილი, რატომ არ შეიძლებაო, რომ იციე ნიგნები ქართულად გადმოეწევა ნაკითხვა ქართულად მოიხვედს? ეს აუცილებელი და გადაუდებელი საქმედაც კი მივიჩნიე და ჩემი ახალგაზრდული მოკლე პერიოდში მთელი ჩემი დარჩენილი სიცოცხლის უმთავრეს ამოცანად დავიხსახე. თანაც მარტო პროზა კი არა, პოეზიაც და დრამატურგიაც. მაგრამ, ერთგვარი შავი სამუშაო პროსპექტი რომ შევადგინე, მალევე მივხვდი, რომ ეს შეუძლებელი იქნებოდა ერთი ადამიანისთვის და ჩემისთანე რამდენიმე „დამოხვეულის“ ძებნა დაიწვიე, რაც ასევე შეუძლებელი გამოდგა...

ერთი სიტყვით, მიხეცისის ერთ ცნობილ აზრს თუ ოდნავ გადავასხვავებრე, მე, ადამიანი, როგორც ფროსოსანი არსება, შემიძინების ნათელში ფრთების მოქნივას ჯერ ვერ ვახერხებდი...

— გასოვით, სულ პირველად რა თარგმნიე?

— სხვათა შორის, ის ერთი, რაც სულ პირველად ვთარგმნიე, მკაფიოდ აღარც მახსოვს. ან იქნებ ის სულაც არ არიერო მშვენიერ დღეს ქვეცნობიორად გაჩენილი სურვილის თუ ნურსურვილის გაცნობიერება იყო, რაც თან ახლავს შემოქმედებას.

ისე, მე თითოთი მიკვირს, მაგრამ ვეუღლავი დრამატურგიით დანიყო. როგორც ჩანს, შექმნილის მამაბლისთვლმა თარგმნიებმა მეც ნაადრევად „გამაგრებამატურგის“. ბუნებრივია, მამაბლის შემდეგ თავად შექსპირის თარგმნა ვერ ვაბედე და საქართველოს ისტორიიდან აბეუღე სიუჟეტებზე რამდენიმე ტრადიცილა დაიწვიე (ერთ-ერთი დღესაც მახსოვს, მთავარ გმირად დემნა უფლისწული გამოიყვანა, რომელსაც შეთქმულების გზით მეფის ტახტის ხელში ჩავადების განზრახვისთვის თვალბნა სობირანი). ეს ჩემი „ტრადიციები“ იმ-

დენად დიდი ზეგავლენით იყო დანერული, რომ საბოლოოდ მაინც თარგმნიებდი იყო, ვიდრე ორიგინალური ნაწარმოებები.

სკოლაში უცხო ენად გერმანულს ესწავლებიდი. ჩემს გარდა ჩემს კლასში სხვებზე „პოეტურადმნი“. ჩემს გერმანულს მახსოვდა, მთელი ორი-სამი თვე უკეთესად „შეხმატკილებოდი“, ერთი თავისებური ენაპირი ხერხი ჰქონდა: გოთლას „ტყის მეფე“ რომ გავიხსნა, გერმანული ლექსის ქართულად ლექსადვე თარგმნა დაგვავალა, ახვე გზით „გვაახლოებდა“ მიღერს და ჰაინესაც. ასე რომ, როგორც მახსოვს, ასე თუ ისე, მეტ-ნაკლებად რაღაც ხარისხით თუ, უფრო სწორად, ჩემდა ასატანად რაც ეთარგმნე პირველად, გოთლას „ტყის მეფე“ და ჰაინეს „ლორელია“ იყო.

იშხანად [„Иностранная Литература“, მაგონი, ჯერ არ გა-მოლილია] მოის შემდეგ იჯერ არ იყო აღდგენილი, მაგრამ ვერნალ „СОНЕК“-ს ყოველკვირეული პატარა-პატარა დახატებები ჰქონდა, სადაც როგორც თვითონ რუსების, ისე საბჭოთა კავშირში შეშავალი ხალხების მწერალთა და უცხოელ ავტორთა ახალი ნაწარმოებები იბეჭდებოდა.

მახსოვს, ძალიან გახმაურდა მაშინ რუმინელი სადღოეიანუს „ლორის სიმღერა“ და ისლანდიელი ლაქსნესის მოთხრობები, განსაკუთრებით კი — „ნაპოლეონ ბონაპარტი“ (ლაქსნესი მალე ნობელიანტიც ვაბდა). დაბეჭდვით არსად დამიბეჭდაცა, მაგრამ თარგმნილი სადღოეიანუს ეთარგმნე და ლაქსნესიც. ეთარგმნე იმ ერთადერთი მიზეზით, რომ სხვებისთვისაც განხეცდევინებდა ის სისარული და აღტკიცება, რაც ამ მწერლებს პროზაში მე განმსაცდევინა.

მაშინ აგრეთვე დიდად პოპულარული იყო თურქი ნახში ჰიქმეთი, რომლის სახელიც იშხანად მთელ მსოფლიოს პირზე უკერა, რადგან თავისი ქვეყნის მთავრობისგან შერისბული იყო როგორც თავისუფლებისა და ხალხის კეთილდღეობისთვის მებრძოლი. ჰიქმეთის პოეზია ქართულადაც ბევრი ითარგმნიებოდა. მე პირა ეთარგმნე — „თავის ქალა“ და სანიტარული კულტურის თეატრს შეეთავაზე (მაშინ თბილისში იყო ასეთი თეატრი). ეტყობა, ჩემი ძველი „დრამატურგობა“ თავს არ მანებებდა, მაგრამ ამჯერადაც აბაოად დაეშვრე — როგორც წინა თარგმნიებს სტამბა, ისე არც ამ პიესას უნახავს სცენა. ასე რომ ჰიქმეთის „თავის ქალა“ ტყუილად შევიჩნე ჩემი თავის ქალა. თუმცა, იმდენ მაინც არ ვტარებდი, თითქმის ყოველდღე ვწერდი ან ვთარგმნიდი.

— ამბობდ, ლიტერატურა ამის სულს გამოხატავსო. თუ ასეა, მაშინ თარგმანი იწო საქმე ყოფილა — სულად გადატანას არ ევეუშვებარება.

— ეს ცოტა გაზვიადებული ნათქვამი მაგონია. უკეთეს სიტყვა ღმერთია, როგორ შეიძლება, რომ სულ ღმერთის არ დაგმორჩილოს. ამიტომ, ჩემი აზრით, ღმერთის, ანუ შემოქმედის ვაჟანია.

რასაც შემოქმედზე წამოყარდა სიტყვა, მარმაცა გავიხსენებ, რომ დიდოსტატ მთარგმნელს, რომელსაც მოსკოვში თავის ზინამი შეხვედრად მურმან ლებანიძის დავალებული, იქნებ ეურნალ „პოინერისთვის“ რამე გამოართავა და თარგმნილი (მურმანი მაშინ „პოინერის“ პასუხისმგებელი მდივანი იყო და ვატყობიდი, რომ ყოველმხრივ მაგულანებდა უფრო მეტად მთარგმნელობისთვის, ვიდრე ჩემი საკუთარი „პოეტური შემოქმედებისთვის“) ... ბერიკაცი მარმაცა ფრიალ ვულთბილი მასამინელიც გამოდგა. მარმაცა გამოხატავს ქართველი ბავშვებისთვის ერთი პატარა პოემა („УГОМОН“) და იქვე ხელდახალე დანერული მიძღვნა ლექსად (ორივე ეს ნა-



წარმოები მალევე დაიბეჭდა „კომინერში“. „ყარში“-ს ქართულად „ბუა“ დავარქვი).

მაგრამ მარშაკი ამისთვის არ გამიხსენებია. ის სწორედ თქვენმა კითხვამ გამახსენა: თუ ლიტერატურა ერის სულს გამოხატავს, მაშინ თარგმანი ამაი საქმე ყოფილა, რადგან სულის ვადაღან-ვადაღმანას არ ექვემდებარებოდა... მარშაკი იმხანად ძალიან პოპულარული იყო არა მარტო როგორც ჩინებული საბავშვო პოეტი, არამედ როგორც შექპიბირის სონეტებისა და ბერნისის პოეზიის მართლაც უბადლო მთარგმნელი, რომელმაც დიანაც რომ ამ ირო უდიდესი პრიტანელის სულის ვადმეოტანა მშელი რუსული სიტყვის მეშვეობით (ქემი აზრით, ბერნისის „სულს“ ქართული სიტყვის მეშვეობით ჩვენმა თამარ ერისთავმაც გვაზიარა და, რასან „სულის ვადმეოტანა“ ჩამოვიარა სიტყვა, აქვე უნდა ვახსენო შექპიბირის „სულის მზიადეული“ რეზო თაბუკაშვილი, ფრანსუა ეოინის „სულის გამქართულდელი“ ნერდინიან დავითი, უნგრისი პეტეფის ქართული „ამა“ გროგოლ აბაშიძე და განათიარ ქალაქისეული ქართული ბუშქინსა და ამერიკელ ლონგელოზეც იგივე არ ითქმის?). ანდა იქნებ კონსტანტინე ლორქიფანიძისეული ისაკავა ტაკუბოზე გაეიხსენით:

**ერთხელ ზემობით
დედაჩემი მხარე შევისყო,
იგი ისეთი მსუბუქი იყო,
რომ უცხად ეტყემლი მომერია
და ვეღარ ვხედვ**

მაგრამ ისევ მარშაკს მივებრუნდები. მან ერთგვარი ნუბლი გამოიტყა, რომ ვერა და ვერ მოახერხა საქართველოში ჩამოსვლა და ვაგა-უფუფელას სათარგმნელად მომზადება (სხვათა შორის, თბილისის რუსული მოზარდ მათერებელთა თეატრის მთავარი რეჟისორი პოეტის დვილი ძმა იყო). როცა მე შევახსენე ვატას პასტერნაკისეული თარგმანები, მან სწორედ „სული“ ახსენა: პასტერნაკი, რასაკვირრეულია, ოსტატია, მაგრამ ყველა თარგმნელ სულის აბასტერნაკებს, ინდივიდუალობას, ანუ „საკუთარ პულს“ ვერ უნარჩუნებს. ეს დაახლოებით იგივეა, უმეილო მშობლები სხვის შვილს რომ ვაზრდინან, თავიანთ სულს ვერ მთარგმვენ და თავიანთ სისხლიორცეულ, ანუ თავხსნიერ, მართალ შეილად ვერ აქვეყვენ. მართალი გიხორთ, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა ამ დიდად თავდაჭერილი ბერიკაცისგან მეორე ასევე ფრიად სახელიანი რუსი პოეტის ასეთი კრიტიკული შეფასება, თუცა მალევე დაერწმუნდი, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ პროფესიული მიდგომა იყო საქმის მიმართ და არა რაღაც ქვეგრძობის გამოძალავენება, რაც აგრეროვად ახასიათებთ უთუოდ ნაკლებად ნიჭმომადლეული ბუზის მსახურთ.

რასან სულის ვადმეოტანაზე ჩამოვიარა სიტყვა, აქ ჩემდა უნებურად წამომავიანდა მანანა გვიგინევილისეული ხიმენისის ქართული „პლატერო“, რომელიც ამქვეყნად დამორეზული დედა-შვილის სულიერმა ერთობამ გაასრულა... აი რატომ გრძნობს მკითხველი ქართულ „პლატეროში“, ესპანურ სულთან ერთად, ქართულ სულს შერწმუნულ ნათელ და ჩახხაბა ბიჭის სულსაც!..

— რატომღაც მგონია, თარგმან არის არა ვადმეოტანა, არამედ ის, რასაც ჩვენი ძველები ბულისხმობდნენ — განმარტება. ვთუთა, გერმანულიდან ვთარგმნი ქართულად,

ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანულ ტექსტს ვანგმარტავ ქართულად, ანუ ვენერე მის ადაპტირებას ქართულ ენაზე.

— როგორც კარავდ მოვფხენება, ჩვენი სიტყვის ვა-ვა, სულხან-საბა, თარგმანს იგავიანი სიტყვის ვაცხადებად განმარტავს, თარგმანება სიტყვის ვაცხადების თქმასო. რასაკვირრეულია, თარგმანი თავისებურად მართლაც განმარტება, იმ იგავიანი სიტყვის ვაცხადება, რომელიც, თუ შეიძლება ასე თქმა, ძალიან იმ ენისაა, საიდანაც ხდებდა თარგმანი (სიტყვაზე, ჩვენი ქართული „გენაკველ“ რომ არის ანდა „შენი ჭირიშე“), მაგრამ თუ მთარგმნელმა უცხო ნაწარმოების ვადმეოტებისას თავისი მშობლიური ენის ბუნებრივი მფინარება არ შეინარჩუნა და უარი არ ითქვა ვინაფერზე, რაც დაარღვევდა, ანუ დისონანსს შეიტანდა ამ მფიენარებაში, ცხადია, მკითხველს კარგა გეარანება ვაუწყნებს თარგმნილი ტექსტის აღქმას. ესე იგი, თუ მთარგმნელი მავსილურად არ იცეხნება თავისი მშობლიური ენის ყოველგვარ გამომსახველ საშუალებას, მაშინ ითიქმის ყოველგვარდზე სქოლითაა სართოლების დადგმა მოუწენს, რაც სულ ერთიანად ნეაღბი ჩარის მხატვრული თარგმანის ღორსებას და მხატვრულ ტექსტს სამეცნიეროს დაამსგავსებს.

მაგალითისთვის რაბლეს მოვიმეცილებ, რომლის შემოქმედებამაც მთელი ეპოქა შეადგინა ფრანგული ლიტერატურისა და ენის ისტორიაში ასევე ფრანგული ფრანკოლოგიის ისტორიაში.

დღეისათვის „გარგანტუა და პანტაგრუელი“ სულ სტრიქონ-სტრიქონ არის შესწავლილი (მარტო ლ. სენეანს რაბლეს ენაზე ორტომიანი უზარმაზარი შრომა აქვს დანეროილი) და დადგენილია, რომ მთლიანად რომანში 1 139 ფრანკოლოგიური ერთეულია, რომელთაც მწერალი 3 000-ჯერ იცეხნება, ანუ ითიერეული ერთეული საშუალოდ დაახლოებით სამეჯრ მთარგმნა. ერთი სიტყვიანი, რაბლე ენას განიხილავდა „როგორც ხალხის უდიდეს სულიერ ფსახეულობას“, რომელიც მუდმივად წმინდად შენახვასა და ვადიდრებას ითხოვს“. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ, თუ არა რაბლეს ეს გენიალური წიგნი, საფრანგეთში სახელმწიფო ენად კიდევ დიდხანს დარჩებოდა ლათინური.

რა თქმა უნდა, ზემოსენებული 1 139 ფრანკოლოგიური ერთეული, ანუ იგავიანი შესიტყვებათა ერთობლიობა, გარკვეული აზრით, განმარტებასაც საჭიროებს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ადაპტირებას — გამარტებებას ან შემოკლება-ვადაკეთებას. დამთავხმებთ, რომ თითოეულ ფრანგულ ფრანკოლოგიურ ერთეულს იმ ენაზე უნდა მოემდებოს შესატყვისი ფრანკოლოგიური ერთეული, რომელზეც ითარგმნება, მაგრამ ამასთანავე მთარგმნელმა ითქვც უნდა იფიქროს, რომ ნაწარმოებს შეუნარჩუნებს თავისი ეროვნული კოლორტი. ეს აზრი მე ასე მემსმის: უკეთუ დედანს უზარეუ ტყისა და მინფერის ნარ-ნარ ყვაეილითა თავილად წარმოივლივით, თარგმანი არც ერთმა იმ ყვაეილმა არ უნდა დაეკაროს არც თავისი ფერი და არც კიდევ თავისი სურნელი, თუცა მთარგმნელმა უკვე თავისად „გადამიორცნულბულთ“ ის უცხო თავიული თავისი ქვეყნის (ენის) ტყისა და მინდვრის შესატყვისი ყვაეილით უნდა შეკონოს და არა ისევე უცხოური (მოლანდიური თუ ჩინური) ხელოვნური ყვაეილებით.

ჩემი გაგებით, ამ პრინციპით მთარგმნადა, მავალითად, ვახუშტი კონტემპილი სპარსულ პოეტებსა და გერმანულენიერებს რილეს. ერისხელ სადალაც უკვე ვთქვი და აქვე გავიმეორებ, რომ დალი ფანჯიკიძის ქართული თომას მანი



დაახლოებით ასეთ რასმე მაგონებს: იდუმალი რაი საინჟინრო ხერხით საძირკვლიანად რომ გადმოიტანო გერმანიიდან საქართველოში რამდენიმე უზარმაზარი შენობა, სადაც უხეტად ისეთივე კომფორტით ცხოვრობს ქართველი ხეისხველი, როგორი კომფორტითაც იქ გერმანულ მკითხველს უხდება ცხოვრება. ამით იმის თქმა მინდა, რომ მთარგმნელი გერმანული ტექსტის ადამიტირებას კი არ ენევა, პირიქით, მთელი თავისი „ჩადედეებული სირთულით“ ახერხებს მანის „ქართველ გერმანულად“ ქცევას, თუმცა არც ერთ ზედმეტ ან მეტელოტიან ნათურას არ ანთებს ზემოთ ხსენებულ გერმანიიდან საქართველოში გადმოიტანილ რამდენიმე უზარმაზარ შენობაში, ანუ მანის რომანების ქართულ ტექსტში. იგივე უნდა ითქვას ქართული სიტყვის დედის, ჩვენი პატარების სულის მესაიდუმლის — მაცყალა მრუდეშვილის კოსტუმის „ულენშპიგელს“ და ფრანგულ ხალხურ საბავშვო ლექსებსზე („თამამ-თამამ“).

— ნელა პრადანეთ, სადგოიანუს და ლაქინენის იმიტომ ვთარგმნიდი, რომ სხვებისთვისაც განმეცდვიენებინა ის სიხარული და აღტაცება, რაც ამ მწერლებს პოიზამ განამაცდვიენაო. მოდი, პირდაპირ ვთქვათ, თარგმნის თავდაპირველი, სუბიექტური მოტივი სწორედ ეს არის — გაუზიაროს თავისიონებს სხვათა ენის ნიაღში მოპოვებულ სიხარული.

მეორე და, რასაკვირველია, მთავარი მოტივი, კულტურული ფაქტორია. დიხა, თარგმანმა კულტურა უნდა გაამდიდროს, ეროვნული კულტურის აღმშენებლობის საქმეში უნდა ჩაერთოს. სხვათაგანად არაბარი მიმშენებლობა არა აქვს იმ სიხარული, სხვათა ენიდან გადმოიტანული ტექსტი რომ გვანიჭებს. ხანდახან მგონია, კულტურის კრიზისი, რომელიც რუსთაველის შემდეგ საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა, სწორედ ლიტერატურული თარგმანის ჩავარდნამ გამოიწვია.

— რასაკვირველია, თარგმანის მთავარი მოტივი, იქნებ უპირველესიც, კულტურული ფაქტორია. თქვენი მოსაზრება, რომ კულტურის კრიზისი, რომელიც რუსთაველის შემდეგ არა ერთი და ორი საუკუნე გრძელდებოდა საქართველოში, დიხაზე ლიტერატურული თარგმანის ჩავარდნამ გამოიწვია, უთუოდ სწორია.

მაა, გადახედეთ ევროპის ხალხებს, ისინი არა მარტო ერთმანეთს თარგმნიდნენ უკვე დღორმეოტების ხანაშივე, არამედ თავიანთ ენებზე გადაიტარდათ მთელი ბერძნული, არაბული და სპარსული (ცოტა მოგვიანებით ჩინური, ინდური და იაპონურიც) სიტყვიერი კულტურა, რაც ჩვენთვის დღესაც საოცრებოა.

კიდევ კარგი, რომ ქართული მიაღალი წრის წარმომადგენლებში რუსულად ან ფრანგულად მინც ცეცობოდნენ სხვა ხალხების ზემოსხენებულ სიტყვიერ კულტურას“. ეს თავისთავად ერთეფად ტინს აჩვენდა ამ აღმავალში, სამომავლოდ ამ მიმართულებით მოქმედების ფინს, ურთმოსილებაც არც ერთი საქმე არ კეთდება, მით უმეტეს, კულტურის საფეროში.

ამ შორეუ მართლაც რომ გამოირჩეული ნივთია იოანე ბატონიშვილის „სუმარსნაველ“ („კულმასობა“), რომელსაც თავისი ენციკლოპედიურობით სამართლიანად „უბიძამილეებენ“ რბლეს „გერგანტუსას და პანტაგურელს“. მაგრამ ეს მამონდელი ამბავია, „სუმარსნაველის“ მექულის დროზე მოგახსენებ, როცა ევროპის ბევრ ხალხს უკვე თარგმნილი აქვს რაბაულეც, სერვანტესიც, არიოსტოც, შექსპირიც, დანტეც, გოე-

თეც, იქნებ ამგაშინდელი პოლიტკურად კარგა გვარინად „მწერდარულ“ დროში „აიტირ ყვავიდაც“ გამოქმენდე ზოგიერთი ვიპაპირირტის თავლინი, მაგრამ ჩემი აზრით მინც უნდა ვთქვა. თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ზოგი ტორი მარცხებელია, რუსულმა სიტყვამ უთუოდ კარგი „ეტკობა“ გაგვინია სხვა კულტურებისკენ მიზავალ არცყო იოლ ვაზახე.

რუსთაველის შემდეგ, თითქმის მთელი ექვსეახი წელიწადი, საქართველოში ნამდვილად დიდი „კულტურული უამინდობის“ ხანაა. რაღაც „გამოდარების“ ნიშნები დიდატორიკად მე-18 საუკუნეშიც ჩანდა. მაგრამ, ჩვენთან ვთვალდ საუბედუროდ, ხალხსა და წინსს მუა „თვალაუნდენელი ხრამი“, რომელსაც არამეთუ თარგმნილი ლიტერატურა, არამედ თვითი სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის ნიგნებოც ვერ „ანათებენ“, რადგან ხალხისთვის ისინი მაშინ თავითანი არასწორების გამო „ევერ მუშაობდნენ“.

ახე რომ, როგორც იტყვიან, ჩვენ ძალიან ბევრი რამ ძილში გამოვლიტობა. მართალი თუ ვინაა, დიდი, ყოცლის-ბომცველი გავებით, ჯერაც კი არა ვართ იქ, სადაც უნდა ვიყოთ. არადა, როგორც მგონია, [დმერთმა ქნას, რომ ცდებოდდე], ალბათ, კიდევ დიხანს მოგვინვეს „კაცორიობის კუდში ჩანწლი“, რადგან კულტურა როგორც ჩვენი ამგამინდელი სახელმწიფოს მხრივ, ისე საზოგადოების მხრივ, ამკარად ზრტმეცველობა. ახლა, როცა ყველა უქნის ფულითი იზმება, ყველაზე ძალიან წინსს გაუტურდა. ვისაც წინეი უნდა, ფული არა აქვს, ხოლო ვისაც ფული აქვს, წინეი სულ ცალ ფეხზე ჰკიდია. მაგრამ საბედნიეროდ არიან ქვეყნები, სადაც კულტურისთვის და, კერძოდ, წინის-თვის, როგორც კულტურის ერთ-ერთი ეკვლეზე მკვიდრი საშენი მასალითების ფული კი არა, სულაც არ ენანებათ.

ამას ნიშნით ვნერფი და, რახან წინსზე ჩამოვარდა სიტყვა, მგონი, უთუოდ არ იქნება, თუ აქაც რამდენადმე ვრცლად შევეჩრდები.

ამგამინდელი საქართველოში ადამიანს და წინსს ერთნაირად უქორი.

ისე, კარგად თუ დავეკვირდებით, იქნებ იმიტომაც უქორთ ერთნაირად უზარალი ადამიანსა და წინსს, რომ ბოლო ორი ათეული წელიწადი ერთმანეთისკენ მიზავალ გზას არიან აცდენილი, რის გამოც მინაინი კავშირი თუ მიზიხდულობა დავრდეთ: ცალ-ცალკე კი არც ერთი უქნის ლმერის და არც მეორე, ანუ უქმინელი და უსოვარი ადამიანი (უფრო სწორად, საერთოდ ადამიანი) უნიგნად უნიგნური და „უხორთუმო სილი“ ხდება, ხოლო უსოიბელო წინსს დაუტურელი რჩება ასომცემლა ჩრჩილის ანაბარა.

ერთი სიტყვილი, საქმე კარგად ვერ არის. თუ მთელ დედამიწის ზურგზე აიკერ ახლა ატყდა ევლისსრა ეკონომიკური კრიზისი, საქართველო მთელი ოცი წელიწადი ამ დღეშია (ანდა რა ეკონომიკურ კრიზისზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ჩვენში თვითონ ეკონომიკა არ არსებობს!). ასე რომ ქართველები დღეღუდ მარტო დემოკრატის უზარისბობის მხრივ კი არა, თვით ადამიანური ცხოვრების უზარისბობის თვალსაზრისითაც ერთ-ერთ პირველ ადგილზე ვართ არცეთუ ისე ძალიან დიდ ცისქვეშეთში, როგორიც ადრე ვეცენებოდდა.

ამ ყველაფერს არ ავებდობია თუ მეცდენურლობის, სათავ დიხაზე ჩვენებურ ადამიანსა და ნამეჭედ სიტყვას შორის სათადისეროდ დარღვეულ კავშირსა, რაც ცხადად და მართლაც რომ თავსადაცკეზად გაბმინად სულ ახლადან განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში გაერთიანებული



ერების ორგანიზაციის (იუნესკო) აგებული ცნობაში: საქართველო ადამიანისა და წიგნის უზიარებლობის, ანუ, წიგნიერების თვალსაზრისით, მთელი დღემოდის კვალობაზე შედგენილი კარგა გვარობაა და მისი სულ უკლებია მოქცეული...

დაეფიქსირებოდა ახლა და ვიხიბოთ: ჩვენ ქართველები, ჩვენ ქართველები... დაიბ, ჩვენ ქართველები, გამორჩეულად ნიჭიერები, უნიჭიერები (როგორც ჩვენი ამერიკულად განათლებული პრეზიდენტი ფარისებულად იმეორებს ხოლმე თვის წინასწარჩვენო თუ ავსტრის ომის შემდგომ სატელევიზიო გამოსვლებში) თურმე წიგნთან მწყარადად ვყოფილართ. თუმცა, იუნესკოს ცნობა რად გვიჩნდა, განა ჩვენ თვითონ ვერ ვაგებოთ ჩვენს თავს, რა ხეითობიც ვაგებდით ჯერ ერთი, მერე მეორე და ახლა უკვე ამამინდელი მესამე ხელისუფლების ხელში, რომელი ხელისუფლებაც ხუთი წელიწადი ერთხელ და სამუდამოდ ამქნების ვეპირებოდ, მაგვ ვერცხვრებობით, და ძალიან სამწუხაროდ, მხოლოდ ვიქცევით და ვინერვიეთ. ის კი არა, ჩვენი ცვრთ ნოველბული მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო რამდენიმე წელიწადი, რაც ვყოფიდა ცდილობს სასწავლო პროგრამიდან, ვითომ გადატვირთულობის გამო და მოსწავლე ახალგაზრდობის უაზრბრებლობაზე ზრუნვის საბაბით, ქართული კლასიკური ლიტერატურის ამოღებას. თანამედროვე ლიტერატურაზე ლაპარაკი ხომ შედგებოდა უნდა?

რასან წიგნზე ჩამოვარდა სიტყვა, და ეს ლაპარაკიც ძირითადად იუნესკოს ხსენებულ ცნობას მოვყვლივით, თანა უპირველესი პასუხისმგებლობა, ამ თვალსაზრისით, უწინარედად თვით ამამინდელ ხელისუფლებას არ ეკისრება? რაცა თვით ქვეყნის პრეზიდენტი ამბავდაც კი ამბობს, უფრო სწორად, უწინარედად კი, უფრბალ-გაზეთების არ ვითხოვლობო, ის რა, ტელევიზიით მოხელბრებულ ხელმძღვანელი, ვითომ წიგნი საკითხობთ კი არაკითხობთ თვას?! ანდა, როცა სწავლულ და მწიგნობარ ხალხს ჩარეცხილად მოიხსენიებს, ის რა, ქვეყანაში საბიბლიოთეკო ქსელის განვითარებას შეუწყობს ხელს?!

ჰოდა, სავალალო მედეგიც იუნესკოს ცნობაშია!.. მამ, ვინ ვაფანტავს ამ უნიჭიერობის წყვილადს, რასაც ლმობიას, თვე-ზაბიას და ნოდის „რეფორმების“ მოქმედდავად, აგრბროვად რომ მოუღავა ჩვენი ქვეყანა?.. იქნებ ახალმა ვანალბრების მინისტრმა, პროკურორმა გვარამბამ უწინარესად სწორედ საკუთარი პროფესიისა და საქვილობის შესახებუდად შესწავლის თვისი წინამორბედი მინისტრებისა და აწინდელი რექტორ-დირექტორების საქმინობა და მეტ-ნაკლებად უფრო გამაინფრანსონის წიგნის როლი ჩვენი ახალგაზრდების თვალში, რომელი ახალგაზრდებიც, როგორც ჩანს, ქვეყნის პრეზიდენტის ზეგავლენითა თუ მიბაძვით ნაბეჭდ სიტყვას მიიწინებდნენ საქირო პატივს არა სცემენ და სატელევიზიო განათლებას არიან დანაფებული (ისე, ვაცნა რომ თქვას, ან უკვე ხომ არ დაგვა სწორედ ის დრო, როცა მეცნიერებისა და განათლების სამინისტრომ საშუალო და უმაღლესი სატელევიზიო განათლების დილომები უნდა შემოიღოს?!)..

ზარემ აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ჩვენი ახალგაზრდობის დიდ უმრავლესობას, სხვათა შორის, უმაღლესი განათლებულ დიდ უმრავლესობას, ხშირად უზარალო განცხადებისა და ავტობიოგრაფიის დანერგა კი უჭირს. თვალდათვალ მრავლებმა, როგორც კახეთში იტყვიან, უწერეუკითხი ხალხი. ასე რომ მალე, ალბათ, ახალი იტყვიან-კითხვის გამავრცელებული საზოგადოების დაარსება მოგვიჩვენებს...

იუნესკოს ზემოსწერებული ცნობის ნაკითხვის შემდეგ ერთადერთი შეგებად, თუ ამას მართლა შეგება ჰქვია, — ისე ჩანს, რომ წიგნის მიმართ სივარულითა და გულსისურვის დაკარგვა მარტო ჩვენი გავარდისფერებული საქართველოსთვის არ ყოფილა დამახასიათებელი. ესანეთში, მაგალითად, სპეციალური სამთავრობო პროგრამა მოულიათ, რომლის მიზანი ის არის, რომ იქაური მოქალაქეები, ესანელნი თუ არასანელნი, მიაჩვიონ კლასიკური ესპანური ლიტერატურის კითხვას. როგორც ბრიტანული The Guardian იუნესკა, ამ პროგრამის ფარგლებში ახლანაჲ კონკურსიც გამართულა სერვანტესის „დონ კიხოტის“ ნაკითხვისთვის შეწინების უფლების მოსაპოვებლად. ეს უფლება მადრდელ ტაქსის მძიოლს ვინმე ესავიე კარტტეროს მოუპოვებია, რომელსაც ტელეკამერის წინ მწუხარე სახის არინდის შესახებ დანერგობების ულამაზარა და ყოველდღიურად ინტერნეტით მიღებულ მრავალ კითხვაზეც ვაუწყია სრულყოფილი პასუხი. და გრანტების სახით 640 ევრო ჩაუქონალებია.

თვითონ სერვანტესის უკუდავი წიგნისა არ იყოს, ეს უთვლად დასაფერებლად სასაცილოც კია. კარგა გვარობის საზღაური იმის გულისთვის, რომ კაცმა დრო კიბოტი წაიკითხა და ისამოგუნა, როგორც იტყვიან, ნამდვილად მუქთი ფულია, მაგრამ, მეორე მხრივ, როცა დღეს ყველადერი ფული იხიბობა, იქნებ ურიგო არ გამოვდგეს, თუ ამ ესანურ გამოცდილებას ჩვენც, ქართველებიც, ვაძმოვიტყვიდით.

აბა, წუთით დაფიქრდით, რას უყურებენ დიდიად სალამომდ (თუ გვიან შევალამდმე არა) ჩვენი ფილიპის ნეერტი, შევიტყვი, შევილოვიტყვი. ეს ვაუწყებმართებული სიყვარული, რომელსაც ხშირ შემთხვევაში სამინილე მკვლელობაც ახლავს თან, კიდევ უფრო ვაუწყებმართებულ სესკილი, თახის მრავალსტრიანი ოხრობა და მამამაღლობა, ვეუბრბობთ თუ მოუტყვი ნიქავენი ჩვენი ისედაც ხანმოკლე წუთისოფლის უამრავ დროს.

ჩვენი ახალგაზრდობის მზარდი საგანგაშო უნიჭირობის თუნდაც გავრცობით ოდნავ შესაწერებლად განა ცუდი იქნებოდა, რომ საქართველოს ტელევიზიისაც ცოტა დრო მაინც გამოეყო წიგნისთვის, წიგნის კითხვისთვის, წიგნის სიყვარულისთვის ახალგაზრდობამ როგორც ცუდის, ისე კარგის მიბაძვად მყისუყუდა იცის. ნუ ჩავიწენებ ხელს, ჩვენი ამამინდელი ჩაზნებულბული განათლების სისტემის „ვიბრზე“ იქნებ ჩვენი ბავშვებს ბოლოსა და ბოლოს როგორმე ავალბინოთ წიგნი ხელში და პატარაობიდანვე ვასწავლოთ (როგორც ახლა აგრბროვად ყუბადებულბულ ჩვენს ახლო წარსულში ხდებოდა) ნაკითხული სიტყვით ტკბობა.

მე მართად ვყოფლივთ გული მტკიოდა და ახლა მტკიოდა, რომ ბეგრ, ძალიან ბეგრ ქართველი, მეტყველო რაც დრო გადის, მით უფრო, დიანაც ჩვენი კლასიკური ლიტერატურის ნაკითხვადად მიდის ამ წუთისოფლიდან. აა, თუნდაც ნამაღწერო რუსთაველი ვაკერია პირზე, მაგრამ მოდით, როგორც განა ვიცნავ, გულზე ხელი დავდოთ და ისე ვიქვითა, ვითომ ვიპოვოთ კი დიდი თბილისის ისეთ ტაქსის მძიოლს ანდა რომელიმე სხვა პროფესიის ადამიანს, ვინც „ეკუფისტყაონის“ ისეთხვე კონკურსში გამარჯვებდა, როგორ კონკურსზე „დონ კიხოტის“ ნამკითხველად მადრდელმა ტაქსის მძიოლს ვამარჯვებ?

ღმერთმა ქვას, მაგრამ, რაღაც არ მეტყვიება, რადგან ამ ბოლო დროს მალეც, ჩვენდა საუბედროოდ, ხშირად მშხედვდრიან ახალგაზრდები, რომლებიც ოლია გვარავნე რწერეული პეონიბიბათ, ხოლო აკაკი — ჭაჭვამეცა. რაც შეეხება



„ვეფხისტყაოსანს“, ერთმა გულდაჯერებულადაც კი მიიზნრა, ლადო ასათიანის გრძელი ლექსითა.

არც იმის დაჯერება მინდა, რომ ინგლისელებმა არ კითხულობდნენ შექსპირს, იტალიელებმა — დანტეს, გერმანელები — გოეთეს, რუსები კი — პუშკინს. თუმცა სხვები თუ თავიანთსა არ კითხულობენ, ჩვენთვის რა მნიშვნელობა?!

ანდა იქნებ ემშაკური რამ ხერხი გვეხმარა, როგორც ამას წინათ ერთი უცხოელი ავტორი წერდა, სულაც კანონით აგვეკრძალა კლასიკური ლიტერატურის კითხვა... მოგვხსენებთ, აკრძალული ხოლი გემრიელია და, რა იცით, რომ ძალიან ბევრ რამეში უცხო ეფხის ხმას დამოუკველად აყოლოდნენ ჩვენი წინგნისმოძულე ახალგაზრდობა პროტესტის წინშედ მართლაც უფრო არ მიეტანოს ჩვენი კლასიკური ლიტერატურის კითხვას!

ერთი სიტყვით, საქმე, ყველანაირი თვალსაზრისით, ფრიად და ფრიად დამაბედინებელია. წინგნის სრულფასოვნად შემცველი კი ჯერ არც ღმერთისა და არც კაცის არაფერი არ მოუგონია და, ალბათ, ვერც მოგონებს...

— თქვენი არ ვიცი, მაგრამ დღევანდელ ვითარებას რომ ვაკვირდები, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ერთიანი მთარგმნელობითი პროცესი გაჩერებულია, აღარ არსებობს. არსებობენ ცალკეული მთარგმნელები და ცალკეული თარგმანები, თანაც არცთუ ცოტა, მაგრამ ერთიანი კულტურული ხაზი არ ჩანს, შენგერძობია თარგმანის, ავღთქვათ, სოციალ-კულტურული დისკურსი.

რა ხდება? კრიზისია თუ ახალ რეალობაში გადავდეთი?

— უფროდ სწორი შთაბეჭდილება გრჩება. ერთიანი მთარგმნელობითი პროცესი ნამდვილად გაჩერებულია და აღარ არსებობს. არც ერთიანი კულტურული ხაზი ჩანს. დიდად შეწყვეტილია სოციალ-კულტურული დისკურსი. ახალ რეალობა თუ ძალიან ღრმა ორმოდ ან ხარისხ წარმოუტყვევებელი, დახალღობით ისეთ ორმო-ხაროდ, სადაც ლექსი ტყვეობიდან გაქცეული გურამიმძელი მოხვდა, ისიც უნდა წარმოვიფიქროთ, რომ იმ ორმო-ხაროს ძირზე ახლა ჩვენ ვართ, სრულიად მიშვლილ ხელებით ცვდილობთ ზეით ამოფოფებება, მაგრამ აგერ უკვე თითქმის ორი ათეული წელიწადია, რაც სრულიად ამოია ჩვენი მეცადინეობა. ხელისუფლების მხრიდან ვითომ ჩვენდა სამეცადინეო ჩამოგდებული სუსცივლა თოკი დამაბალი გამოგდა და ისევ და ისევ მხოლოდ ჩვენი ბოკო ფრჩხილებს იმედავლა ვართ.

არადა, ლებინი, გაბსოეთ, რომ ერთიანი მთარგმნელობითი პროცესი ჩვენში ნამდვილად არსებობდა. თავი დავანებოთ ყოველგვარ პოლიტიკას და რეალურ საქმეზე გილაპარაკოთ.

მართლაც რომ ამ ერთიანი მთარგმნელობითი პროცესის მაყინდ გამოჩნდა ჩვენს სალიტერატურო ცაზე ჯერ აღზნა-ნი „ციხარტყელა“, ხოლი მერე „იომლი“ და „საუნჯე“, რომეილც საერთო საქმისთვის თავდადებული ადამიანების წყალობით ჯერ კიდევ რის ვაიკვალასთი ინარჩუნებს სიცოცხლეს. მსვე ჩვენი ეკლესიისა და, კერძოდ, პატრიარქის ძალისხმევით ხერხდება, თორემ აქამდე სულს ვერ მოიტანდა.

ფურელი, რომელიც გუგინი ერთ-ერთი მრავალტარგმანია გამოცემის იყო, დღეს სამასი ცალია იმეცვლება. აღარც სახელმწიფო, აღარც ახალი ფუნდია ქართველობა მწერლობისკენ და, კერძოდ, ქართული პერიოდიკისკენ აღარ იყურება. რა გუნთა, ბატონო, საბაზრო ეკონომიკა, ყველამ თავის თავს უნდა მოუაროსო. კი ბატონო, მოუაროს, მაგრამ თუკი ყველა ჩვენგანის შრომითა და ოღოლით შედგენილი ქვეყნის

ბოუჯეტი ქვეყნისავე არცთუ მცირერიცხოვან ბიურკრატიულ აპარატს სულ უფრო და უფრო მზარდნი ანაზღაურებით აპურებს, რატომ არ შეიძლება, რომ თუნდაც ამ გარდასახვალ ხანაში, სანამ ქვეყანა ასე თუ ისე ფეხზე დადგებულეს, მცირედნი ქართულ მწერლობისადაც ქართულ მხატვრულ პერიოდიკისაც მოუვლებოთ? მერე რა ვფიქრო, რომ ეს არც ამერიკისკი ხდება და არც რომელიმე სხვა კონტინენტზე? ან იქნებ ხდება კიდევ და ჩვენ არ ვიციოთ? თუ მსოფლიო ბანკი არა გვრთავს ამის ნებას? ესპანეთში, მაგალითად, ვიცი, რომ საგანგებო ფონდებია შექმნილი, როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივი, ესპანური კულტურისა და ესპანური ენის მხარდაჭერისა და განვითარების მიზნით. ის კი არა, ნ წნის შემდეგ ყველა ესპანელითვის, უფრო სწორად, ესპანული მოქალაქისთვის, უფასოა ყველა სასურველი პერიოდული გამოცემა, აგრეთვე ყველანაირი წამალი, ფასისად მიუხედავად, აგრეთვე მკურნალობა და ტრანსპორტი. პუნსია, რასაკვირველია, თავისთვის იავლისწამებს. მაგრც ცნობისთვის იმასაც აქვე ვიტყვი, რომ ესპანეთის ბელისუფლებისთვის ამკარაა, რომ თუ ჩაკვდება ესპანური კულტურა და ესპანური ენა, დიდი სურვანტესის ენა, თითი თუ ესპანეთი, როგორც ქვეყანა, გინდ ყოფილა, გინდ არა.

როგორც ადამიანების უმუშევრობა დიდი ეროვნული დანაშაული, ასეთივე დანაშაული და დიდი უხედავება ქართული სიტყვისა და ქართული ენის უმუშევრობა. მით უმეტეს, დღეს, როცა მწვაზე ბანკურმა, შეუფულომა ინგლისურმა ენამ თანდათან ამკარად დაიწყო ქართული ენის „გაუფასურება“. ასეთი მდგომარეობა თვით რუსული ენის მოძალანების ხანაშიც კი არ ყოფილა. თუ ასე გაგრძელდა, ქართული ენა მალე ინგლისურის მხეველად გადაიქცევა, მხეველის მდგომარეობა კი ყველას კარგად მოეცხენება.

ამაჟამად, როცა ხალხს მხოლოდ სამოქარზე უჭირავს თვლი, როცა კითხვისთვის თითქმის აღძრავის სცხებლა, გულს იმედილი მივსებს ის ამბავი, რომ ახლა უკვე ორ თვეში ერთხელ გამოივავალი „საუნჯის“ სამისივე ცალი გამოსვლისთანავე იყიდება. და ის სამისივე მკითხველი, რომელიც ნამდვილად პირდაპირი მნიშვნელობით ესმით სურვანალის სახელწოდება, ჩემს ცნობიერებაში ოდესღაც საქარ-თველისთვის თავგანწირული, მხოლოდ ქართულად მოლაპარაკე სამისი არაგველის გვერდით დგება.

რასაკვირველია, ცალკე უნდა აღინიშნოს ამ დიდ ეროვნულ საქმეში ამჟამად ფურნაღ „ჩვენი მწერლობის“ როლი.

ანდა მთარგმნელობითი კოლეგია გავიხსენოთ. წარმოგიდგინო, რამბლა საქმე კეთდება! თითქმის მთელი მსოფლიოს მწერლობის, როგორც მგლის, ისე ახლის (ყოველ შემთხვევაში, რჩეულის მაინც!) თარგმნას დაედო სთავად ეროვნული კულტურის ახალ სახელებზე აყვინის თვალსაზრისით, ამ უაღრესად სასიკეთო პროცესის მიშვეელი შედეგი იყო მსოფლიო ლიტერატურის ოიბნოციტომეულის გამოცემა, რაც, ჩენდა დიდად სამწხებროდ და საუბედუროდ, სუა გზაზე შეჩერდა. მშვეული და ხელის ამპყრობული კი არაიენ არა ჩანს, არც ამჟამინდელი ეგრეთ ნოდებანი დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც მინცდამინცი ვალზე არ ახატია ეროვნული კულტურა, და არც კიდევ უწინარესად დიხავც ხალხის ბარჯზე გამდიდრებული ვინმე ეგრეთ ნოდებელი „ახალი ვაიკველი“, რომელიც ხანდახან თავის მოსაბინძოვლად თუ გაიკრავია ხოლმე ხელს თავის „დაცხრაკლიტულბულ“ ფიბეზე.



როცა ჩვენში თარგმანის საქმის აღმავლობაზე ვლაპარაკობთ, როგორ შეიძლება, რომ უპირველესად არ გავისვენოთ ცხონებული ვახტანგ ქციციძე, ელვაჯა მალრაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, რომელთაც, როგორც ჩვეყიან, ზოგიერთი პოლიტიკურად თავგზაბანული (მოდურ ანგაფორბულს) განგებ არა ვხმარობ) თავისი მართლაც მოკლე ქცუთი ვითომ ანგარიშს უსწარმობს. ესენი ის ეროვნული კაცები იყვნენ, თავიანთ უმუშალო საქმესთან ერთად, საქართველოში ერთიან მთარგმნელობით პროცესს რომ უძღვებოდნენ, თავს უყრიდნენ, აერთიანებდნენ ცალკეულ მთარგმნელებსა და ცალკეულ თარგმანებს, რათა მენარჩუნებულყო ერთიანი კულტურული ხაზი. ეკოლოგიურად ისეთი სუსტია და აუცილებელი სულიერი საკვების შემოტანა-საუქუნოვანი სიტყვიერობა, რომლის შეუწყადავებლადაც სუყოველი ეროვნული კულტურა იმ გაუმდინარ დიდ გუბედ იტყვება, ბოლოს და ბოლოს აყროლებს რომ ემუტკრება.

მე, როგორც ქართული სიტყვის სიჯანსაღისთვის ერთ-ერთი თავგადაკლებული კაცი, ვალდებული ვარ ჩემი ზემონათქაში ჩემივე მავალთით გავაპყრო... თუ არა ვახტანგ ქციციძე, თუ არა ამ ადამიანის საოცარი შეგულიანება და თანადგომა, აღბათი, ნაკითხვის მეტს ვერას შევებდავდი რაბლეს. რომ ეთქვათ, ეს უზარმაზარი ტექსტი დაიხვეწირო, იქნებ დახვეწილება კიდევ გაამტება, მაგრამ თარგმანა, ღმერთი, რჯული, ვერ წარმომდგინა. ასევე შემავლანებალად იყვნენ ჩემს მიმართ განწყობილი ჩვენი ბუნება ელვაჯა მალრაძე, თავად ჩინებული მთარგმნელი და ლიტერატორი, ერთიანს საგამომცემლო საქმის მესვეური, და ზოგ-ზოგთათვის რატომღაც არანეტარხსენებელი, ამჟარად დიდი მწერალი კონსტანტინე ლორთქიფანიძე, რომელთაც, სანამ ცოცხალი ვარ, ყოველთვის დავეუშაველდ განეულ ამგას.

დასასრული შემდეგ ნომერში

რეპორტაჟი

ეკა ბუჯიაშვილი

„ქართულ პოეზიაში პოეტი მოვიდა“

— მთ ერთმანეთთან ის აკავშირებთ, რომ ახლა იმკვიდრებენ ადგოს ქართულ მწერლობაში და საკმაოდ თამაში და საინტერესო განაცხადით შემოვიდნენ ჩვენს ლიტერატურულ სივრცეში. ამ ახალგაზრდებს აქვთ მაიჯებელი სული, რის გარეშეც შემოქმედის ნაწარები უსული ქმნილებებად დარჩება. კიდევ ის აერთიანებთ, რომ თანმიმდევრებით დაიბეჭდნენ ფურხალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე და წარადგინა ისინი ბატონმა გივი ალბაზიშვილმა — პოეტმა, რომელსაც შიანია, რომ შთავარი არა მხოლოდ ის არის, რას აკეთებ, არამედ ისიც, თუ ვის და რას უწყობ ხელს, იგი რომ ქართული მწერლობა მხოლოდ შენ არ ხარ — გყავს წინამორბედებიც და მომავალი, რომელსაც დაკავალანება სჭირდება. ამ მხრივ ბატონი გივის ღვაწლი საინჟუმოა.

ამ ახალგაზრდების გამოსვლას დიდი ღვაწლითა მოჰყვა. ზოგიერთმა შემოსვლა ვერ მოასწრო ლიტერატურაში, ქცევა შეხვდა და მწვავე კრიტიკაც, მაგრამ მე შიანია, რომ ერთიც და მეორეც ერთხანად მნიშვნელოვანია ავტორისთვისაც და სალიტერატურო პროცესისთვისაც. — ასე წარადგინა ბატონმა როსტომ ჩხეიძემ ფურხალ „ჩვენი მწერლობის“ სალონის ოთხი ახალგაზრდა პოეტი, რომელთაც კარგად იცნობენ ლიტერატურულ საიტებზე, აღიარებულ ავტორებდაც ითვლებიან და ერთგული მკითხველებიც ჰყავთ ვირტუალურ სივრცეში, ფურხალ „ჩვენი მწერლობის“ მკითხველმა კი ისინი სულ ახლახან გაიცნო.

გიორგი კეკელიძე, დიანა აბდოშიძე, ქეთი თოთბერიძე, ნატა ვარდა — ეს ის სახელებია, თამაში განაცხადით და საინტერესო პოეტიან რომ გამოჩნდნენ თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებში. შეძლებს თუ არა საკუთარი ადგილი იპოვონ დიდ მწერლობაში, ამას დრო გვიჩვენებს, მანამდე კი ისინი საკუთარი შემოქმედებით რეალურ სივრცეში, რეალურ

რი საზოგადოების წინაშე წარსდგნენ. ამ საღამოზე გამართული ლექსების კითხვის კი მოჰყვა შეფასებებიც და გასაზრებაც ავტორებთან.

ლევან ბრეგვაძე:

— ძალიან მიხარია ამ ახალგაზრდებთან შეხვედრა. ორ მათგანს — გიორგი კეკელიძეს და დიანა აბდოშიძეს კარგად ვიცნობ და მიყვარს მათთან ურთიერთობა. დიანა არაჩვეულებრივ საღამოებს მართავს ხოლმე. ორი ასეთი შეხვედრა მახსოვს — უნივერსიტეტში და ნოდარ დუმბაძის სახელობის თეატრში. ეს იყო პოეზიის სპექტაკლები. მსახიობები ძალზე კარგად „ასრულებდნენ“ დიანას ლექსებს. ის არტისტული ბუნებისაა არის, რაც მის პოეზიაშიც აჩვენებს თავის კვლას.

ძალიან მომხიბვს გიორგი კეკელიძის ლექსები. არაჩვეულებრივი აზროვნებაა მის შემოქმედებაში. სინტაქსიც როგორი უცნაური აქვს, მხატვრული სახეებიც უჩვეულო და ორიგინალურია. საინტერესოა სიტყვასთან მისი ურთიერთობა, რომელიც ძალზე მაღალ დონეზეა. გიორგის უყვარს სიტყვა, თამაშობს სიტყვებით და ეს ძალიან კარგად გამოსდის.

ნატა ვარდას და ქეთი თოთბერიძის შემოქმედებას ახლა ვეცნობი, ამიტომ მათ შესახებ ჯერჯერობით ბევრს ვერაფერს ვიტყვი, უზრაოდ მინდა მივულოცო ეს დღე და წარმატებები უსურვო*.

მარიამ ნიკოლაური:

— ეს ახალგაზრდები ლიტერატურული საიტების მერცხლები არიან, მათ ძალზე ბევრი მკითხველი ჰყავთ. ეს საიტები, ტექნოლოგიურად, სრულიად ახალი ლიტერატურული სივრცეა, რომელშიც ისინი მკვიდრდებიან, იღებენ შეფასებებს და ძალიან მწყვდებიან გული იმის გამო, რომ ამ სივრცეში ნაკლებად არის გადაკვეთილი ძველი და ახალი თობა.

ბატონი ვიკო მამაიძემილი აქტიური მონაწილეა ამ ლიტერატურული პორტალებისა, იცნობს ამ ახალგაზრდებს, მათ შემოქმედებას, სწყალობს და აკვალინებს მათ, ასპარეზეც გამოჰყავს საუკეთესოები... მაგრამ ასე-

თები, სამწუხაროდ, ცოტანი არიან. ამიტომაც ეს სახელე-
ბი ზოგისთვის ძალიან ნაცნობი, უკვე მიღებული და აღი-
არებულია, სხვებისთვის კი სრულიად უცნობ ავტორებად
ჩრდება. ამიტომ სჯობს, რომ რეალურ სივრცეშიც მოხ-
ბეს მათი ნარაგვინება.

იქნებ დღევანდელი საღამო სწორედ ამიტაც იყოს საინ-
ტერესო - ეს შეხვედრა გახდეს საინტერესო ამ საინტერესო
ვირტუალური ურთიერთობების რეალურ სიბრტყეში გად-
მოტანისა. ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდები კიდევ გვყავს სა-
ბედნიეროდ და კარგი იქნება, თუ ისინიც გამოჩნდებიან”.

როსტომ ჩხეიძე:

— ეს ავტორები მხოლოდ ნიმუშად შეირჩნენ. მე ვადე-
ნებ თვალს მათ შემოქმედებას იმ სივრცეშიც და ამ სივ-
რცეშიც. ვცდები, რომ თანდათანობით ყველა წარმოვა-
ჩინო. „ჩვენი მწერლობა“, ჩემი აზრით, სწორედ მათთვის
არის და ამ ახალგაზრდებს სრული თავისუფლება ექნებათ
მის ფურცლებზე. ცხა-
დია, საუკეთესო ნიმუ-
შებს გვულისხმობ. და-
მეთანხმებით, ყველა
ერთნაირი არ არის და
რაც კარგია, ის უნდა
დაიბუქდეს.

ნინო დარბაისელი:

— ვირტუალურ
სივრცეში გამოჩენილი
ეს ოთხივე ახალგაზ-
რდა ჩემთვის ნაცნობი
და ახლობელი პოეტი
და ვირტუალური მეგო-
ბარია. ვიყავი ახლა,
ყუსმენდი მათ და ვფიქ-
რობდი: რა აერთიანებთ
ამ ავტორებს და რო-
გორ შეიძლება დახასი-
ათდეს თითოეული
მათგანი შემოქმედები-
თად?

დავითყვე გიორგი კეკელიძე:

უპირველესი ნიშანი, რაც მას გამოკვეთს ამ საერთო
ფონზე, ეს არის მისი გარდამქმნელი, კრეაციული დამოკი-
დებულება არა მხოლოდ ქართული პოეტური მეტყველე-
ბის, არამედ, საერთოდ, ქართული ენისადმი. ამ თვალსაზ-
რისით მისი ყურადღება ორი მიმართულებით ნაწილდება.
ერთი — ეს არის ქართული იდიომატიკის მხატვრული
გადამუშავება და მეორე, მთავარი — ქართული ენის ხერ-
ხემალი — ზმნა, რომელიც გიორგის პოეტურ სამყაროში
სრულიად ახალი, ტრანსფორმირებული სახით შემოიღის.

დაიანა ანდომიადი, გიორგი კეკელიძის მსგავსად, კრეა-
ციულად უდგება მინარსობრივ მხარეს, მაგრამ მისთვის
პოეზია გამოჩენილად სიტყვური ხელოვნების დარგია.
ის ძალზე ბევრს მუშაობს პოეტურნი ქმნილებების, როგორც
სინთეზური მოკლენის სრულყოფაზე. მასში ფორმა და
სათქმელი უნისონია. ამას ემატება გამოთქმის მახვილ-
გონიერება და სრულიად გამოჩენილად გამოხატული თა-
ნამედროვე ფემინური ინტონაცია, რაც ასევე სიახლედ მი-
მაჩნია.

ქეთი თუთბერიძე ყველაზე ახალგაზრდაა ამ ჯგუფში.
ის ძალზე მხარდი შემოქმედია, რომელიც არასოდეს არ
ჩერდება, მინის მარცხის, ნაშთგრომის, ხელახალი ცდები-
სა და ექსპერიმენტების გზით. აქვს სრულიად ნარეულბე-
ბული ლექსებიც და ისეთი ნიმუშებიც, ასი თავით რომ
სტარობს სტებს. ის ძალიან ართანაზარი პოეტია დიდი
შინაგანი პოეტეციითა და შინაგანი ვენებით თუ გაუიზო-
არებთ იმ აზრს, რომ ხელოვნებას ვენება განაპირობებს, მა-
შინ ის ძლიერი ვნება, რომელიც გამოხატულია მის ლექ-
სებში, იმედს მძალეებს, რომ როცა ქეთი კიდევ უფრო
სრულყოფილად დაეუფლება გამოხატვის ფორმებს, ეს
ყველაფერი საფუძვლად დაედება მის პოეტურ ქმნილე-
ბებს და ქართულ პოეზიას შესანიშნავი ავტორი შეემატება.

ამ ახალგაზრდებს აერთიანებთ კიდევ ერთი რამ — და-
მოკიდებულება მითოპოეტური აზროვნების ტრადიციას-
თან, რომელიც თითოეულ მათგანში სხვადასხვანაირად
არის ნარმოდგენილი
და აი, ნატა ვარადა რა-
ლაცნაირად ცდილობს
ჩანვდეს იმ პოეტურ
არქეტიპებს, რომლებ-
საც უძველესი დროი-
დან მოყოლებული
ეფუძნება არა მხო-
ლოდ ქართული, არა-
მედ, საერთოდ, მსოფ-
ლიო პოეზია. მთავარი
აღსანიშნავი თავისებუ-
რება კი მაინც ის არის,
რომ ნატა ახერხებს ერთ
ლექსში შეხამოს საერ-
ო პოეტური კულტუ-
რა და მისი არქეტიპები
და ძალზე ფაქიზად შე-
უნყოს ხელი არა მხო-
ლოდ ქართული მითო-
სის და ზემარისტყევი-



ნატა ვარადა და ქეთი თუთბერიძე

რების სხვადასხვა ასპექტის, არამედ ქართული მოდერნი-
სტული ხედვისა და მისი გამოხატვის ფორმების ნარმოქნა-
საც.

და კიდევ:

თითოეული მათგანის ენა არის მეტაფორული, სიმ-
ბოლურ-აღვგორიული, ანუ პირდაპირ ნათქვამს, თუნ-
დაც ეროტიკულ ლექსებში, თითქმის არ მიმართავენ. და
თუკი ეროტიკული პლანი რალაცნაირად გამოხატება
მათ ლექსებში, ეს მხოლოდამხოლოდ მეტაფორის ელემ-
ენტია, რომელიც სხვა ზოგად ცნებებთან თუ სახეებ-
თან გადაკვეთისას ახალ მხატვრული სახეს და სინამ-
დვილეს ქმნის.

მაკა ჯობაძე:

— მე ამ ახალგაზრდებზე, სამწუხაროდ, მხოლოდ ზო-
გადი შთაბეჭდილებებით შემიძლია ვიმსჯელო, რადგან
ჯერ არ ვიცნობ თითოეულ მათგანის შემოქმედებას. ზო-
ლო იმაზე, რაც აქ მოვისმინე, ორიოდ სიტყვას მაინც
ვიტყვი.

აღვნიშნავ, რომ ეს ლექსები, პირადად ჩემთვის, პირ-
ველ რიგში, საინტერესოა არა პოეტურობის, არა ფორმის,



პოეტური ტექნიკის თვალსაზრისით, თუ გენებათ არა მსოფლებდვის თვალსაზრისით (ის, რომ ასიმეტრიული სამყაროა, რომელიც ყველაფერი დამოკიდებულია, დანაწევრებულია. ის, რომ ინტელექტუალური ცოდნის შემდგომი გამოყენებულია ფილ კლორუელი, ზღაპრული, მითოსური ასპექტები... ეს ყოველივე კარგა ხნის განვლილი ვტანა ზელოვნებაში... დესტრუქციის თვალსაზრისით, გაცილებით მძაფრი ექსპერიმენტების მოტანაცაა შესაძლებელი სანიმუშოდ).

პირველ რიგში, საინტერესოა მათი დამოკიდებულება რეალობისადმი, რეალური სამყაროსადმი, გარე სამყაროსადმი. ჩვენ თვალნინ მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ-ზნეობრივ-ფსიქოლოგიური პროცესებისა და მოვლენებისადმი. ბოლოს და ბოლოს, მათი ინტერესი იმ ქვეყნისადმი, რომელშიც იმადებიან, იზრდებიან, ცხოვრობენ...

რჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი მარსიდან გამომიწერდნენ დედამიწაზე. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ გიორგი კეკელიძეს ეს არ ენება.

სამუშაოზე, მე მჯერა იმისა, რომ ისინი გულწრფელები არიან და ყველაზე მეტად ეს მამფრთებს, რადგან მხოლოდ გულწრფელობით არასოდეს იქმნება ნამდვილი ლექსი, ნამდვილი მოთხრობა, ნამდვილი რომანი. მამფრთებს ეს გულწრფელობა, რადგან ეს არის ახალი სრული გახსნილობის, იმეოციის, სიყვარულის, თანაგრძნობის... არაფერი ამდაგვარი აქ არ ხდება, საოცარი სულის-შემზოთველი ჩაკეტილობა. საუკეთესო შემთხვევაში საკუთარი სამყაროს, ამ სამყაროში გამოჩენილი თითო-ორი პერსონის აღწერის, ანონ-დანონა, ცქვითა და სტრანზილით მივლავ. ეს „პოეტური“ პრაგმატიკაში ლექსის სტრუქტურა გრაფიკულ გაანალიზებასაც, მათ ფორმასაც ატყვია.

თითი სამშალო ომის თაობაზე კი, რომ აღარაფერი ვთქვათ მომდევნო თაობებზე სიცოცხლის, სინათლის, ბედნიერებისადმი ლტოლვის ისეთი ენერჯია შემოპქინდა ქართულ პოეზიაში, რომ დღემდე გადამდები და დამშუბტველია.

ისე არ გამოვით, თითქოს პოეზიის უმთავრესი ზიბედა, იმპულსად მხოლოდ სიბარულს ვგულისხმობდე, მაგრამ თითი ყველაზე პირქუშ, სულიერ შეჭრებზე შექმნილია ნამდვილა ლექსა პოეზიით გახარების, პოეზიით ტკბობის განცდა უნდა გამოიწვიოს მკითხველი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამის კლასიკური მაგალითი გალაკტონია...

ის ვაკცენტრირში, ის კარნავეტილობა, საკუთარი ინსტიტუტებისა და ხილვების ლაბირინთში გაბადებულები შუშით სიბარული აქ-იქ მარლატ უწნაურ სახეს ან მეტაფორას გამოირყავს ჩვენს თვალნინ, მაგრამ მეტაფორა ხშირ შემთხვევაში იმდენად ბუტაფორული და პარადოქ-

სულია, რომ არასოდეს აჩენს განცდას: მეტაფორა პოეტის ლია ჭრილობაა.

და მინცი, ვინ არის, რა არის ამის უმთავრესი მიზეზი. ალბათ ის უსამართლო, აგრესიული, ცრუ და ცოფიანი სამყარო, რომელშიც აგერ უკვე მერამდენე წელია ცხოვრობს საქართველო.

არ ვიცი, ეს „არ დანახვა“, „არ შეხება“ იქნებ თავდაცვის ინსტიტიტი უფროა, ვიდრე გამოფიტვა და გულგრილობა, მაგრამ რატომღაც დანაწმუნებული ვარ ეს პარადოქსი — მათი „ნელთილი ახალგაზრდობა“ თანდათან გალღვება, გათბება და ასაკიან ერთად გამოვა მზის გულზე, რათა თავადაც გათბეს და სხეაც გაათბოს. უკეთ დაინახოს და სხვაგვარ დანახოს, თავად განიცადოს და სხვაგვარ განაცდივოს.

კითხვა დარბაზიდან:

— თუ შეგიძლიათ უბრალოდ პროცესი ავეცხსნათ — როგორ წერთ ლექსებს? ამ დროს თქვენ ფიქრობთ მკითხველზე? ცდილობთ თავი მოაწონოთ მას?

ქეთი თუთბერიძე:

— ჩემი აზრით, შემოქმედი ადამიანი წერ მაშინ, როცა ძალიან გტყვია და შეუძლებელია ტკივილის დროს იმაზე იფიქრო, მოენონეს ეს მკითხველს თუ არა.

რენე კალანდია:

— პოეზიას ან პროზას თუ თარგმნით? მინტერესებს თქვენი ოსტატობა ამ თვალსაზრისით.

დიანა ანფიმიადი:

— სისტემატური სახით არა, მაგრამ ვთარგმნი რუს პოეტებს: მაგალითად, ცვეტაევის, ახმატოვის... თანამედროვე ავტორებს, ასევე ფრანგ პოეტებს, თუმიცა მთარგმნელის პოზიციიდან ნამდვილად ვერ ვისაუბრებ...

ნინო დეკანოძე:

— ჰვავს თქვენი პოეზია იმის, რასაც თარგმნით?

დიანა ანფიმიადი:

— არა, არ ჰვავს... მაგრამ აუცილებელი ხომ არ არის ჰვავი, უბრალოდ, მომწონს და ვთარგმნი.

გიორგი კვეციანი:

— მე პროფესიონალი მთარგმნელი არ შეთქმის, უბრალოდ თარგმნის დროს, ძირითადად, ქართულ ენაზე ვმუშაობ და ვცდილობ გამოვთარგმნო ისე, როგორც ამას ქართველი ნიკითხავდა. ამ უთხობი პროექტებში ჩართვაც მომიწია. ვთარგმნი ავსტრიული პოეზია, ფრანგ ვერეფლი, ქრისტიანე ბუსტა, ქრისტიანე ლავანტი, იოსებ ვაინაპერი...

ქეთი თუთბერიძე:

— ერთი პერიოდი იტალიურად ვთარგმნიდი, ძირითადად პროზას. ბუკოვსკის თარგმანი დაიბეჭდა კიდეც...

ნატა ვარდა:

— მე თარგმნა არ მიცვლია.



დიანა ანფიმიადი



ნანა კუცია:

— ძალიან წინააღმდეგობრივი განცდა მაქვს და დაახლოებით ვხედვები რატომაც უფრო არაბუნებრივი აღბათის იქნებოდა, ამ პაეუბების ლექსებში სიბარული რომ იყოს. ეს არის თაობა, რომელიც ორ ომს შორის გაიზარდა და სულაც არ მივიჩნობ მათ შემოქმედებაში აშდენი ტყვილი და დარდი რომ არის.

ქალბატონო მაკა, თქვენ საოცრად კარგი რამ გქონდათ ერთ-ერთ ნერილიზში ლაშა ბუღაძის შესახებ რომ დაინერა მისი ასპარეზზე გამოჩენისას. ახლაც მახსოვს ის ერთი ფრაზა: „თითქოს ეს ბიჭი დგას და ჰამელტივით ხელში უჭირავს თავის ქალა იორიკის“...

აი, ამ ახალგაზრდებსაც უჭირავთ თავის ქალა — ის, რაც ჰქვნიან გარშემო დარჩა. სწორი პიძანეთ — ალბათ დადგება მათ ცხოვრებაში დრო, როცა ისინი დანაზავენ სინათლეს, ლაშში გადატეხილ სიხეს.

ქეთი თუმბერიძეს აქვს ერთი ლექსი — ივუჯების შესახებ — როგორ ივუჯება სახლი მთავარის კენჭებით, როგორ დულს ჩაი... ისეთი სიმყუდროვეა, ისეთი სიმშვიდე... არ არის გუკულობა, არც სიტყვით ფონგლიორობა... აბსოლუტურად სხვა კლიმატი და სიტუაცია ამ ლექსში... ან ნატა ვარადას „სასიძლოს გავლობს“ გაიხსენებ — თუნდაც ის, რომ სათაურში დატოვებულია „სასიძლო“ და „გალობს“, უკვე წინწაფს, რომ იქ ათასი შეცდომაც რომ იყოს, უკვე არის ნატერა იმისა, რომ მოვიდეს ეს შუქი.

დაიანასთან არაჩვეულებრივი ნოუანსებია მთოლოგიიდან — ნიშში იმისა, როგორ უნდა ნაიკითხო სხვანაირად ეს ძალიან ძველი ამბები — როდინდელი ზეგის და როდინდელი კონსტანს... მითიური ქვებისა და ამ ქვებში შემოგადლი სიბრალის...

დააკვირდით, როგორი წანამძღვრები აქვს გიორგი კეკელიძის ლექსებს, ერთი სიტყვით შეიძლება ციტირება ყველაფრისა. მე მგონია, რომ ამ ახალგაზრდებში არის ძალზე დიდი სინათლე, მხოლოდ მინდა, რომ მათ ჰქონდეთ ისეთი ქვეყანა, სადაც ეს შუქი გამოჩნდება. უბრალოდ იმ ტყვილს, რომელიც ასევე აქვს ამ თაობას, არ შეეჭმევიროთ (ამის თქმა უნდა და თქვენთვის ქალბატონ მაკასაც), როდგან ყველაფრის მოუხედავად, ჰქვნი ძალიან დაცულ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ღვთისგან დაცულ ქვეყანაში.

ამაზე თქვენ ფაქტობით (ეს თქვენს ლექსებში ჩანს), ოღონდ მინდა, რომ ამაზე ნეროთ კიდევ. ეს არის და ეს.

თემურაზ დოიასვილი:

— თანდათან ვიტყვი, რომ ოთხივე ახალგაზრდა საკმაოდ ნიჭიერი და, საბედნიეროდ, სხვადასხვაგვარად ნიჭიერიც. მე დამამახსოვრდა მათი პუბლიკაციები, რაც არცთუ ხშირად ხდება.

